ყოველდღიური მართლმსაჯულება

საქართველოს რეგიონებში

სასამართლო პროცესების
მონიტორინგის შედეგები

2023

ყოველდღიური მართლმსაჯულება საქართველოს რეგიონებში

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

(მონიტორინგის პერიოდი: ოქტომბერი, 2022 - ივლისი, 2023)

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

საქართველოს სასამართლოს გუშაგი

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ანგარიშზე მუშაობდნენ: ნაზი ჯანეზაშვილი, მეგი შამათავა, ქეთევან გაჩეჩილაძე
კონსულტანტი: ბარტოშ პილიტოვსკი, Polish Court Watch
მონიტორინგის კოორდინატორი: თათია ლომთაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

ლუბლიანას ქ. N 13ბ, 0159 თბილისი, საქართველო
info@courtwatch.ge / 032 219 70 04
WWW.COURTWATCH.GE

© 2023, საქართველოს სასამართლოს გუშაგი

შინაარსი:

- **შესავალი....4**
- **მოსამზადებელი პროცესი....5**
- **მონიტორინგის მეთოდოლოგია....6**
- **ძირითადი მიგნებები....17**

I ნაწილი: სასამართლოს მუშაობის ორგანიზება....21

1.1. სასამართლო სხდომების ჩატარება....21

1.2. სასამართლო სხდომის დაწყების პუნქტუალობა....22

1.3. სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყების მიზეზები....25

1.4. დაგვიანების მიზეზების შესახებ განმარტებები....27

II ნაწილი: პროცედურული სამართლიანობა....31

2.1. სასამართლო პროცესის ეტაპის დასახელება....31

2.2. მოსამართლის დამოკიდებულება სხდომის დამკვირვებლის მიმართ....34

2.3. სასამართლო სხდომაზე მედიის წარმომადგენელთა დასწრება....40

2.4. მოსამართლის აცილება....41

2.5. მოსამართლის მიერ მხარეთა გულდასმით მოსმენა და გასაგები ენით საუბარი....42

2.6. სასამართლო პროცესზე შუამდგომლობის დაყენება....48

2.7. მოსამართლის რეაგირება მხარის/წარმომადგენლის პოზიციაზე....53

2.8. მოსამართლის მომზადებულობა და საქმის გარემოებების ცოდნა....56

2.9. მოსამართლის ეთიკურობა....61

2.10. მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა....65

2.11. სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) სიცხადე....67

2.12 მოქალაქეთა შეფასებები პროცესის სამართლიანობის შესახებ....73

რეკომენდაციები....79

დანართი #1....81

✔ შესავალი

საქართველოში განხორციელებული სასამართლო რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ანგარიშვალდებულება კვლავ პრობლემად რჩება, რაც სასამართლოს რეპუტაციას აზიანებს და მის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ სასამართლო რეფორმა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა ფართო საზოგადოება აღნიშნულ პროცესებში ჩართული არ ყოფილა, ამიტომაც მოქალაქეების ხმა სათანადოდ არ ისმოდა. გამომდინარე აქედან, საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც სასამართლოს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გაზრდას.

„სასამართლოს გუშაგმა“ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელებას მოქალაქეთა მიერ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი ემყარება პოლონური ორგანიზაციის Polish Court Watch-ის გამოცდილებას, რომელიც „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ პარტნიორია. სასამართლო პროცესების მონიტორინგი „სასამართლოს გუშაგმა“ თავდაპირველად 2021 წელს გორის რაიონულ სასამართლოში განახორციელა, რომელიც, მოქალაქეთა აქტიურობიდან გამომდინარე, წარმატებით დასრულდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში არაერთი პრობლემაა, რომლის აღმოფხვრა ყოველთვის არ მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას ან დიდ ფინანსურ ინვესტიციას. ამიტომ, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა ან შემცირება ხშირად შესაძლებელია პრაქტიკის ცვლილებითაც კი.

სწორედ ამ მიზნით ორგანიზაცია „საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, 2022 წელს დაიწყო პროექტის „მოქალაქეთა მიერ სასამართლოების მონიტორინგი“ განხორციელება. პროექტის ფართო მიზანია სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება, სასამართლო პროცესების მონიტორინგში მოქალაქეთა ჩართულობის გზით.

„საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ მადლობას უხდის მოხალისეებს, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგში ჩართვის ინტერესი გამოხატეს და რომელთა აქტიურობის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელება.

✔ მოსამზადებელი პროცესი

სასამართლო პროცესების სამოქალაქო მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა პარტნიორი ორგანიზაციის, Polish Court Watch-ის გამოცდილების საფუძველზე, რომელიც პოლონეთში 2010 წლიდან ახორციელებს სასამართლო პროცესების მონიტორინგს მოხალისე დამკვირვებლებთან ერთად. აღნიშნული ორგანიზაციის მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2022 წლის 24-30 სექტემბერს, „საქართველოს სასამართლოს გუშაგის" წარმომადგენლები პოლონეთში იმყოფებოდნენ. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში Polish Court Watch-ის წარმომადგენლებმა „საქართველოს სასამართლოს გუშაგის" თანამშრომლებს სიღრმისეულად გააცნეს მონიტორინგის სპეციფიკა და მისი განხორციელების მეთოდები. გაიმართა შეხვედრები პოლონეთის უზენაეს სასამართლოსა და ქ. ტორუნის საქალაქო სასამართლოში. „სასამართლოს გუშაგის" წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- *მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება;*
- *მოხალისეების საქმიანობის ორგანიზება;*
- *მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი;*
- *მონიტორინგის ანგარიშის მომზადება და სხვ.*

მოგვიანებით, 2022 წლის ნოემბერში, Polish Court Watch-ის წარმომადგენლებმა საქართველოში ჩაატარეს ტრენინგები მონიტორინგში ჩართული მოხალისეებისათვის. დასავლეთ საქართველოს სასამართლოების დამკვირვებლებისთვის ტრენინგი ჩატარდა ბათუმში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასამართლოების დამკვირვებლებისთვის - თბილისში. გარდა ამისა, პოლონელმა მოხალისეებმა, რომლებიც, ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ერთად, თბილისში იმყოფებოდნენ, ადგილობრივ მოხალისეებს პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარეს. ამასთან, ჩატარდა დამატებითი ტრენინგები „სასამართლოს გუშაგის" გუნდისთვის.

„საქართველოს სასამართლოს გუშაგისა" და Polish Court Watch-ის თანამშრომლობა შედგა პროექტის „პარტნიორობა უკეთესი სასამართლოებისთვის" ფარგლებში, თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, პროგრამა „RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში".

✔ მონიტორინგის მეთოდოლოგია

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმე ღია სხდომაზე განიხილება. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. ღია სასამართლო პროცესს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, რადგან სასამართლო პროცესების საჯაროობა სასამართლო სისტემის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს და დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს იცავს. სწორედ ამიტომ სასამართლო პროცესების მონიტორინგის უფლება საზოგადოების ხელთ არსებული ძლიერი ბერკეტია კანონის აღსრულებასა და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე დაკვირვებისთვის.

მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი გულისხმობს სხდომებზე დაკვირვებას მოხალისეობრივ საწყისებზე. დამკვირვებლები არიან მოხალისეები, რომლებიც სასამართლოებს ნეიტრალური თვალთახედვით აკვირდებიან. მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგის პრაქტიკა ეფუძნება ისეთ გამოცდილ და დანერგილ მეთოდოლოგიას, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდს ემყარება.

ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი წარმოადგენს ისეთი მიდგომას, რომლის დროსაც ადამიანებზე დაკვირვება მათ კულტურულ გარემოში მიმდინარეობს[1] და სისტემურად ანალიზდება ადამიანთა ჯგუფების კულტურა.[2] ამ ტიპის კვლევა ემყარება გამოცდილებას და სოციალურ გარემოში პირდაპირ ძიებას, ასეთ დროს მთავარ ტექნიკად გამოიყენება მონაწილეებზე დაკვირვება.[3] კერძოდ, მკვლევარი აკვირდება კვლევის საგანს ან უშუალოდ მონაწილეობს მოქმედებაში, ან არის პასიური დამკვირვებელი.[4] ამ მეთოდის უპირატესობაა ის, რომ შეუძლია, სიღრმისეულად და მაქსიმალური სიზუსტით აღწეროს დაკვირვების ობიექტი. ამისათვის საჭიროა დაკვირვების შედეგების შესახებ ჩანაწერების წარმოება მიმდინარე რეჟიმში ან საველე სამუშაოების დღესვე. უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც სოციოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებს, მათ შორის – მონაწილეობითი დაკვირვების მეთოდს, რომელსაც სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროსაც იყენებენ.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვება განიხილება, როგორც საშუალება, რომელიც ხელს

[1] "How to use ethnographic Methods & Participant Observation". <https://www.emeraldgrouppublishing.com/how-to/observation/use-ethnographic-methods-participant-observation> [20.06.2023].
[2] Guide to Coding Qualitative Data; "Ethnographic Research". <https://delvetool.com/blog/ethnography> [20.06.2023].
[3] *Ibid.*
[4] "How to use ethnographic Methods & Participant Observation". <https://www.emeraldgrouppublishing.com/how-to/observation/use-ethnographic-methods-participant-observation> [20.06.2023].

უწყობს არა მხოლოდ სასამართლოს განვითარებას, არამედ მოქალაქეთა სამართლებრივ სოციალიზაციას,[5] რაც გულისხმობს მოქალაქეთა ცოდნის გაღრმავებას კანონის ნორმების, საკანონმდებლო ორგანოს, კანონის აღსრულების პროცესისა და სამართლებრივი ინსტიტუტების მუშაობის შესახებ.[6] სამართლებრივი სოციალიზაციის ერთ-ერთი გზა არის ინდივიდების ინტერაქცია სასამართლო სისტემასთან, რომელიც სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეშვეობით ხორციელდება.

დღეისათვის მსოფლიოში სასამართლო სხდომებზე დაკვირვების მრავალი პროგრამა არსებობს. როგორც წესი, სასამართლო პროცესების მონიტორინგს, ძირითადად, მკვლევრები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები ან აქტივისტები ატარებენ. მოხალისეთა მიერ სასამართლო პროცესებზე დაკვირვება არსობრივად განსხვავდება სასამართლო მონიტორინგის უფრო ფორმალური სისტემებისგან.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი, რომელიც ფართო მოძრაობის ნაწილი იყო, აშშ-ში ორგანიზაციამ Modern State Courts-მა 70-იან წლებში დაიწყო. იმ დროისთვის მონიტორინგის პროცესი მოითხოვდა დამკვირვებლების ხილვადობას. მაგალითად, ლუიზიანის შტატში სასამართლოს დამკვირვებელთა ერთ ჯგუფს თეთრი ხელთათმანები ეცვა, როგორც მათი ვინაობის იდენტიფიცირების საშუალება. მონიტორინგის კიდევ ერთ წარმატებული მაგალითია აშშ-ში, ტეხასის შტატში განხორციელებული სასამართლოს მონიტორინგი. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების პროგრამაში მონაწილეობდა 200 მოხალისე, მათგან – 199 ქალი. ისინი აკვირდებოდნენ საოჯახო დავების სასამართლო პროცესებს ქალაქ ჰიუსტონში (ტეხასის შტატი), რის შემდეგაც „ძლიერი და ფესვგადგმული საოჯახო სასამართლოს მოსამართლეების ჯგუფი ჩამოიშორეს“[7] და მნიშვნელოვან რეფორმას ჩაუყარეს საფუძველი. 2006 წელს კი სასამართლოს მონიტორინგის პროექტი ბულგარეთში დაიწყეს, რომლის მიზანი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ახალი კანონების იმპლემენტაციის გაუმჯობესება იყო. პროექტის მონაწილეების მტკიცებით, სასამართლო სხდომებზე მათი დასწრება ამცირებდა მიკერძოებულობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს. მათი ანგარიშებიდან დასტურდება, რომ სასამართლოს მონიტორინგს აქვს პოტენციალი, მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ფორმირება ოჯახში ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით და მხარი დაუჭიროს ქალებს, რომლებიც განიცდიან ძალადობას ან არიან ძალადობის რისკის ქვეშ. საფრანგეთში სასამართლოს დამკვირვებელთა ჯგუფი მიზნად ისახავს „სამოქალაქო ზედამხედველობას კონტრტერორისტულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე.“[8] ისინი ცდილობენ, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა აქტორებისა და

[5] *Gill N., Hynes J.,* “Courtwatching: Visibility, publicness, witnessing, and embodiment in legal activism” <https://rgs-ibg.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/area.12690> [20.06.2023].
[6] *Fine A.; Trinkner R. J.,* “Legal Socialization”, May 2020, Arizona State University. Finckenauer, 1998; Trinkner & Cohn, 2014.
[7] *Gill N., Hynes J.,* “Courtwatching: Visibility, publicness, witnessing, and embodiment in legal activism” <https://rgs-ibg.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/area.12690> [20.06.2023].
[8] *Ibid.*

იურიდიული პრაქტიკოსების ინფორმირებას. კერძოდ, დამკვირვებლები სასამართლო პროცესების მონიტორინგს განიხილავენ, როგორც სამართლებრივი გამჭვირვალობის გაუმჯობესების შესაძლებლობას. მოგვიანებით, 2010 წელს, პოლონურმა ორგანიზაციამ Polish Court Watch-მა მოახდინა ამერიკული მეთოდოლოგიის ადაპტირება და დაიწყო მოხალისეების მონიტორინგის პროექტის დანერგვა პოლონეთის სასამართლოებში.[9]

საქართველოში, ძირითადად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, იურისტების მონაწილეობით განხორციელებული სასამართლო მონიტორინგის გამოცდილება არსებობს. კერძოდ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგს 2011 წლიდან ახორციელებს.[10] ასევე, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, რომელიც ამჟამად თბილისის და ბათუმის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში მაღალი ღირებულების სამოქალაქო დავების მონიტორინგს ახორციელებს.

მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი სწორედ იმით განსხვავდება მონიტორინგის სხვა მოდელებისგან, რომ მოქალაქეები, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ იურიდიული განათლება, ესწრებიან სასამართლო პროცესებს და მონიტორინგის შემდეგ საკუთარ მოსაზრებებს, შევსებული კითხვარის სახით, „საქართველოს სასამართლოს გუშაგს“ უზიარებენ.

მოხალისე დამკვირვებლების როლი ორი თვალსაზრისით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი:

- მოხალისეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ იურისტის ღრმა გამოცდილება ან საერთოდ არ არიან იურისტები, რამდენიმე უპირატესობა აქვთ: როგორც წესი, სასამართლო მათთვის აბსოლუტურად უცხო ადგილია, ამიტომ ისინი ისეთ დეტალებს ამჩნევენ, რომლებიც ყურადღების მიღმა რჩება მას, ვინც სასამართლოს ზედმიწევნით იცნობს; მათ არ „ამძიმებთ“ სასამართლოებისა და ზოგადად სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი კულტურული ნორმები; იურისტი მარტივად იგებს ფორმალურ და არაფორმალურ იურიდიულ ტერმინებს და სასამართლო პროცედურას, მაშინ როდესაც ეს შესაძლოა, სრულიად გაუგებარი აღმოჩნდეს სხვა პირებისთვის, რომლებსაც, წესით, სასამართლო უნდა ემსახურებოდეს.
- მოხალისეთა ჩართულობით შესაძლებელია სასამართლოს მონიტორინგმა შეიძინოს ფართო მასშტაბები და მოიცვას სხვადასხვა გეოგრაფიული არეალი, სხვადასხვა

[9] *Ibid.*
[10] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში, 2021, გვ.13.

პროფესიის ადამიანები და მოახდინოს საზოგადოების კონსოლიდაცია სამართლიანი მართლმსაჯულების იდეის გარშემო.

მოქალაქეთა მიერ სასამართლოს მონიტორინგის უმთავრესი მიზანია ის, რომ შეცვალოს მოქალაქეთა პასიური დამოკიდებულება, გაზარდოს მათი მოტივაცია და გააცნოს, თუ როგორ შეიძლება სასამართლოს ეფექტიანი კონტროლი სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემის პარალელურად. ამრიგად, მონიტორინგის ამ მოდელის უნიკალურობა ის არის, რომ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სამოქალაქო გამოცდილება იქნება მოხალისეებისათვის. სხვა ქვეყნების მონიტორინგის გამოცდილება აჩვენებს, რომ სასამართლო სხდომების მონიტორინგით შესაძლებელია გარკვეული პოზიტიური ცვლილებების გამოწვევა და სამოსამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება. სამოქალაქო მონიტორინგის მიზნები, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია, თუმცა ის უმთავრესად შემდეგ სამ მიზანს ემსახურება:

- » სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით მოქალაქეების აღქმების შესახებ სანდო და სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება;
- » დამკვირვებლების ინფორმირებულობის გაზრდა მართლმსაჯულების განხორციელების და, ზოგადად, სამართლებრივი საკითხების შესახებ;
- » სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მოქალაქეების ჩართულობით.

გამომდინარე აქედან, მოქალაქეთა მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები დამოკიდებულია მოხალისეების აქტიურ ჩართულობაზე. შესაბამისად, „საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“ მოხალისეთა პირველი მიღება 2022 წლის 12 სექტემბერს გამოაცხადა, ხოლო მეორე – 2023 წლის თებერვალში. დაინტერესება და პროცესში ჩართვის სურვილი ამ შემთხვევაშიც 200-ზე მეტმა პირმა გამოხატა, რომელთაგან სასამართლო პროცესების მონიტორინგში **76 მოხალისე იყო ჩართული.**

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოხალისეებს გააცნეს სასამართლოს პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგია, ეთიკის წესები და საორგანიზაციო საკითხები.

მოხალისეებთან თანამშრომლობა რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა:

- ► მოხალისედ რეგისტრაცია და ტრენინგებსა თუ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა არ ავალდებულებდა მოხალისეს სასამართლო პროცესის მონიტორინგში ჩართვას და მას ნებისმიერ დროს შეეძლო მონიტორინგში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- ► მოხალისეები შეზღუდული არ იყვნენ სასამართლო სხდომების რაოდენობით, შეეძლოთ თავიანთი დროისა და შესაძლებლობების შესაბამისად განესაზღვრათ სხდომების რაოდენობა მონიტორინგის მიზნით;

- მოხალისეები თავად ირჩევდნენ სასამართლოს სხდომას მონიტორინგისთვის, რაზეც ორგანიზაცია, როგორც წესი, წინასწარ იყო ინფორმირებული. უფრო კონკრეტულად, მონიტორინგის კოორდინატორი დამკვირვებლებს წინასწარ უზიარებდა ინფორმაციას მონიტორინგისთვის შერჩეულ სასამართლოებში დაგეგმილი პროცესების განრიგის შესახებ. მოხალისეები თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად ირჩევდნენ სხდომას, რის შესახებაც ორგანიზაციას წინასწარ უზიარებდნენ ინფორმაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტული საკითხების შესახებ დამკვირვებლები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი, თუმცა სასამართლოების მიერ პროცესების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ იძლევა მათი თემატური იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ჩატარდა საქმეთა ყველა კატეგორიაზე წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. კითხვარი, რომელიც ფორმალური ნაწილის გარდა, მოიცავს 16 საკითხს (დანართი #1), გამოიყენება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე დაკვირვების მიზნით. კითხვები წარმოდგენილია ისეთი ფორმითა და შინაარსით, რომ მისი შევსება ნებისმიერი პროფესიისა და გამოცდილების ადამიანმა შეძლოს. კითხვების ნაწილი არის „დიახ/არა“ ტიპის, რათა მონიტორინგის ანგარიშის მომზადების დროს შესაძლებელი იყოს შედეგების რაოდენობრივი ანალიზი. ამასთან, დამკვირვებლებს აქვთ საშუალება, არა მხოლოდ ინდივიდუალურ საკითხებთან მიმართებით გააკეთონ განმარტებები, არამედ სასამართლო სხდომიდან გამომდინარე, აღწერონ თავიანთი შთაბეჭდილებები.

მონიტორინგის დროს დაკვირვების საგანია შემდეგი საკითხები:

- სასამართლოს მუშაობის ორგანიზება - რაც მოიცავს სხდომების ჩატარებას, პუნქტუალობას და იმ მიზეზების აღწერას, რომელთა გამოც სხდომა გადაიდო, დაგვიანდა ან არ ჩატარდა. ამდენად, სხდომების ჩატარება სასამართლოს მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხია და სასამართლოს მუშაობის შესაფასებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ანგარიშში მითითებულია მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი სასამართლო სხდომა ჩატარდა/არ ჩატარდა განრიგში მითითებულ დროს.
- პროცედურული სამართლიანობა - რაშიც, ძირითადად, იგულისხმება მოსამართლის ეთიკურობა, გულმოდგინება, მხარეთა მიმართ თანასწორობა, მიუკერძოებლობა და მიღებული გადაწყვეტილების სიცხადე. ამდენად, სამართალწარმოებაში მოსამართლის როლისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით, სასამართლო პროცესების მონიტორინგისას ძირითადი სამიზნე, დაკვირვების ობიექტი, სწორედ მოსამართლე და მისი ქცევაა. ზოგადად, მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ ერთი მხარე ყოველთვის იმედგაცრუებული დატოვებს სასამართლოს. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ უმნიშვნელოვანესია, ადამიანმა სასამართლო

დატოვოს იმ შეგრძნებით, რომ კანონი სამართლიანად აღსრულდა, მაშინაც კი, როდესაც საქმე წააგო. ბევრია იმაზე დამოკიდებული, როგორ იქცევიან მოსამართლეები, აძლევენ თუ არა მოქალაქეებს ლაპარაკის უფლებას, მკაფიოდ განმარტავენ თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებებს და ა.შ.; ,,პროცედურული სამართლიანობა" სასამართლოს ავალდებულებს, მისცეს მხარეებს საკუთარი პოზიციის წარმოჩენის თანაბარი შესაძლებლობა და უარის შემთხვევაში არგუმენტირებულად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

იმისთვის, რომ მოსამართლემ შეძლოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, ანგარიშში აღწერილ კონკრეტულ შემთხვევასთან მითითებულია ცალკეული სასამართლოების ზუსტი დასახელება და გარემოებები. ეს, აგრეთვე, ქმნის უფრო ზუსტ და მკაფიო წარმოდგენას კონკრეტულ სასამართლოში გამოვლენილი ტენდენციებისა და ინდივიდუალური შემთხვევების შესახებ.

სასამართლოს მონიტორინგის ანგარიშში ციტირებულია მოხალისე დამკვირვებლების შეფასებები და შთაბეჭდილებები სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, პირველწყაროდან მიიღოს ინფორმაცია და მოვლენების უშუალო მოწმისაგან შეიტყოს სასამართლო სხდომაზე მომხდარი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, რაც მონიტორინგის ანგარიშს ჰმატებს გამჭვირვალობას, ხდის მაქსიმალურად ინფორმაციულსა და სარწმუნოს.

ანგარიშის დოკუმენტში მონაცემების აღწერისათვის გამოყენებულია ორგვარი დიაგრამა - (ა) საერთო რაოდენობრივი/პროცენტული მაჩვენებლის ამსახველი და (ბ) სასამართლოების მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლის ამსახველი. რაოდენობრივ მონაცემთა დიაგრამები პირდაპირი გზით, ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე ასახავს მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ხოლო პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საერთო მონაცემებს, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს. დიაგრამებზე არსებული ორივე ტიპის ინფორმაცია ერთობლიობაში მეტ სიცხადეს და გამჭვირვალობას სძენს ანგარიშს და უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს მონიტორინგის შედეგებზე. იმისთვის, რომ ვიზუალიზებულმა მონაცემებმა მკითხველს მცდარი წარმოდგენა არ შეუქმნას, ერთეული შემთხვევების განზოგადებას და ამ მხრივ რეალობის დამახინჯებას არ შეეწყოს ხელი, ის სასამართლოები, სადაც 5-ზე ნაკლები სხდომის მონიტორინგი განხორციელდა, რაოდენობრივი/პროცენტული მაჩვენებლების ამსახველ დიაგრამებში არ მოხვდა.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით მოხალისე დამკვირვებლების მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგი ჩატარდა 1341 სასამართლო სხდომაზე, 18 სასამართლოში.

მოხალისე დამკვირვებელთა დროის გრაფიკის, შესაძლებლობების, სასამართლოების დატვირთულობისა და მათი მუშაობის ინტენსივობის გათვალისწინებით, სასამართლოებში სხვადასხვა რაოდენობის სხდომაზე მიმდინარეობდა დაკვირვება. ამდენად, პროცესების მონიტორინგი თვრამეტივე სასამართლოში სხვადასხვა ინტენსივობით განხორციელდა.

აღნიშნულ რაოდენობაში შედის ქარელის მაგისტრატი სასამართლოც, თუმცა სასამართლოში სხდომის მონიტორინგისთვის, საერთო ჯამში, ხუთჯერ მისულ დამკვირვებელს სასამართლოს შენობა დაკეტილი დახვდა. როგორც დამკვირვებელს განუცხადეს, სასამართლოში პროცესები არ იმართება ტექნიკური პრობლემების გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესების განრიგში ქარელის მაგისტრატი სასამართლო მითითებული იყო.

დიაგრამა #1: სხდომების მონიტორინგი სასამართლოების კატეგორიების მიხედვით (პროცენტული და რაოდენობრივი მაჩვენებელი)



სხდომების რაოდენობა სასამართლოების მიხედვით

მოხალისე დამკვირვებლების მიერ ყველაზე მეტ – 312 სასამართლო სხდომაზე დაკვირვება რუსთავის საქალაქო სასამართლოში განხორციელდა; მას მოჰყვება გორის რაიონული სასამართლო, სადაც, საერთო ჯამში, 308 სხდომის მონიტორინგი განხორციელდა; ხაშურის რაიონულ სასამართლოში, ჯამში, 204 სხდომის მონიტორინგი ჩატარდა; კასპის მაგისტრატ სასამართლოში – 89; ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 85; ბათუმის საქალაქო სასამართლოში – 66; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 64; მცხეთის რაიონულ სასამართლოში – 38; გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, ისევე როგორც ფოთის საქალაქო სასამართლოში – 16; ხოლო სიღნაღისა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 5. მოხალისე ქარელის მაგისტრატ სასამართლოში მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდა 5-ჯერ, თუმცა სხდომები არ ჩატარებულა. რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციას, როგორც აღინიშნა, მონიტორინგის ფარგლებში მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე მოხდა დაკვირვება და 119 სხდომის მონიტორინგი განხორციელდა. სხდომების განსხვავებული რაოდენობები განპირობებულია მოხალისეთა რაოდენობით ან აქტიურობით (შესაბამის რეგიონში) და არა სხვა ფაქტორებით (მაგალითად, სასამართლოს ზომით ან განხილული საქმეების რაოდენობით).

დიაგრამა #2: ცალკეულ სასამართლოებში დაკვირვებული სხდომები (პროცენტული მაჩვენებელი)



დიაგრამა #3: ცალკეულ სასამართლოებში დაკვირვებული სხდომები (რაოდენობრივი მაჩვენებელი)



დიაგრამა #4-ზე წარმოდგენილია სასამართლო პროცესების შესახებ მონაცემები საქმეთა კატეგორიების მიხედვით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ჩატარებულ, არამედ იმ სხდომებსაც, რომლებიც განრიგში მითითებული იყო, თუმცა დამკვირვებლების ინფორმაციით, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ჩატარებულა. **საერთო ჯამში, მონიტორინგი განხორციელდა: სისხლის სამართლის საქმეებზე – 41,61%, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე – 29,98%, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე – 26,32% .**

დიაგრამა #4: საქმეთა კატეგორიები
(რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი)



✔ ძირითადი მიგნებები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 18 სასამართლოში, მოხალისეთა მიერ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე არაერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა და ტენდენცია გამოიკვეთა. მონიტორინგის ანგარიშში ასახული შედეგები უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მასში წარმოდგენილია მოქალაქეების – მოხალისე დამკვირვებლების შთაბეჭდილებები და შეფასებები საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში გამართული პროცესებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ იმედოვნებს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია და მოხალისეთა მოსაზრებები, რომლებიც მრავალმხრივი და საყურადღებოა, სასარგებლო რესურსი იქნება მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის, ადვოკატებისთვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის და სხვა პოლიტიკური აქტორებისთვის, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სასამართლოს თემით დაინტერესებული ინსტიტუტებისა და მკვლევრებისთვის.

მონიტორინგის ანგარიში, საჯარო წარდგენამდე, გაეგზავნა ყველა იმ სასამართლოს, სადაც სხდომების მონიტორინგი მიმდინარეობდა, თუმცა მონიტორინგის შედეგებს ოფიციალური წერილით მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გამოეხმაურა და წარმოადგინა მოსაზრებები.

ანგარიშში ასახულია მოხალისეთა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შთაბეჭდილებები, გამომდინარე იმ კონკრეტული სასამართლო სხდომებიდან, რომლებსაც ისინი ესწრებოდნენ ან იმ გამოცდილებიდან, რომლებიც მათ მიიღეს სასამართლოში მონიტორინგის დროს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიში ასახავს ინფორმაციას მხოლოდ იმ სხდომების შესახებ, რომლებსაც დამკვირვებლები ესწრებოდნენ. შესაბამისად უცნობია, როგორ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები იმ შემთხვევებში, როდესაც დამკვირვებლები არ ახორციელებდნენ სხდომების მონიტორინგს.

<u>მონიტორინგის შედეგად სასამართლოს მუშაობის არაერთი პრობლემა გამოიკვეთა, თუმცა აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ტენდენციები:</u>

- ☑ სასამართლოს სხდომების დროულად არდაწყება პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან მონიტორინგის დროს ჩატარებული 1268 სხდომიდან დაგეგმილ დროს (არაუმეტეს 5 წუთის დაგვიანებით) დაიწყო 781 სხდომა (62%), ხოლო 487 სხდომა (38,41%) – 5 წუთზე მეტი დაგვიანებით. ეს მოქმედებს სასამართლოს იმიჯზე, მხარეების ინტერესებსა და საქმეთა დროულ განხილვაზე, აგრეთვე, აისახება ადვოკატებისა თუ პროკურორების

სამუშაო დღის განრიგზე. მონიტორინგის დროს გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც ერთი სხდომის გვიან დაწყებამ გამოიწვია მომდევნო სხდომის დაგვიანება.

- ☑ სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყებისას, უმეტეს შემთხვევაში (77,6%), სასამართლო სხდომებზე განმარტება არ გაკეთებულა. დაგვიანებით დაწყებული 487 სხდომიდან მხოლოდ 109 შემთხვევაში (22,38%) განმარტეს დაგვიანების მიზეზები. ასეთი პრაქტიკა სასამართლოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე უარყოფითად აისახება.
- ☑ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესების განრიგში სხდომის ჩატარების ადგილად არაერთხელ მითითებული იყო ქარელის მაგისტრატი სასამართლო, დამკვირვებელს, რომელიც ხუთჯერ მივიდა სასამართლოში პროცესზე დასასწრებად, სასამართლოს შენობა დაკეტილი დახვდა. როგორც მას ადგილზე განუცხადეს, სასამართლოში პროცესები არ იმართება ტექნიკური პრობლემების გამო. ვინაიდან მონიტორინგი, დაახლოებით, 10 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ჩნდება კითხვა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ დროის განმავლობაში ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრა სასამართლო სისტემის მხრიდან? ცალკე საკითხია ის, თუ რატომ იყო მითითებული სასამართლო პროცესების განრიგში კონკრეტულ სხდომაზე ქარელის მაგისტრატი სასამართლო, თუ სხდომა ხაშურის რაიონულ სასამართლოში უნდა ჩატარებულიყო?
- ☑ დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საორგანიზაციო საკითხების ან ტექნიკური გაუმართაობის გამო სხდომა გადაიდო (დისტანციური ჩართვისას დამატებითი ვიდეოთვალის არქონის მიზეზით, ასევე, თარჯიმნის არყოფნის გამო ერთ-ერთ შემთხვევაში საჭირო გახდა სასამართლო პროცესის გადადება).
- ☑ მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ მოსამართლეებმა სხდომაზე დამსწრეთათვის უმეტეს შემთხვევაში დაასახელეს, რა ეტაპზე იყო სასამართლო პროცესი, მაგრამ 492 სხდომაზე, რაც 38,80%-ს შეადგენს, მოსამართლეებს არ დაუსახელებიათ საქმის განხილვის ეტაპი.
- ☑ მონიტორინგისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე იმდენად დაბალ ხმაზე საუბრობდა ან ტექნიკური პრობლემა არსებობდა, რომ დარბაზში მყოფი დამკვირვებლისთვის რთული იყო სასამართლო სხდომის შინაარსის აღქმა.
- ☑ სასამართლო სხდომაზე დამკვირვებლის დასწრებასთან დაკავშირებით მოსამართლეებს, როგორც წესი, პოზიტიური ან ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდათ („სასამართლოს გუშაგი“ ნეიტრალურ დამოკიდებულებასაც დადებითად მიიჩნევს), თუმცა 14 შემთხვევაში მოსამართლემ დამკვირვებლის დასწრებაზე აშკარად ნეგატიური რეაქცია გამოხატა, კერძოდ – რუსთავის საქალაქო სასამართლოში, მცხეთისა და გორის რაიონულ სასამართლოებში, მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. როგორც დამკვირვებელმა მიუთითა, მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთ-ერთ სხდომაზე მას დასწრების საშუალებას არ აძლევდნენ.

- ☑ მოხალისე დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, მედიის წარმომადგენლები, გაშუქების მიზნით, მონიტორინგის განმავლობაში ჩატარებულ 17 სხდომას ესწრებოდნენ.
- ☑ დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სხდომების 96,9%-ში მოსამართლე გულდასმით უსმენდა მხარეებს და განმარტავდა სამართლებრივ ტერმინოლოგიას მხარეთათვის გასაგებ ენაზე; 19 სხდომაზე (1,5%), დამკვირვებლების შეფასებით, მოსამართლე არ იჩენდა გულმოდგინებას და ყურადღებით არ უსმენდა მხარეებს, რაც კიდევ უფრო პრობლემურია იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს/ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი/წარმომადგენელი, რათა იურიდიულ ტერმინოლოგია თუ სხვა საკითხები შესაბამისად აღიქვას.
- ☑ სასამართლო სხდომებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ არ დატოვა შთაბეჭდილება, რომ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სათანადოდ იყო ინფორმირებული და მომზადებული, რაც დამკვირვებლებმა, საერთო ჯამში, 18 სხდომასთან მიმართებით აღნიშნეს (ერთ-ერთ შემთხვევაში მოსამართლეს ტექნიკური შესვენების გამოცხადება დასჭირდა, რათა წინა სხდომის ჩანაწერისთვის მოესმინა დეტალების გასახსენებლად. იგივე მოსამართლე მუდმივად იყურებოდა საქმის მასალებში და ეძებდა წარდგენილ დოკუმენტებს/საქმის მასალებს).
- ☑ დამკვირვებლების ინფორმაციით, სასამართლო სხდომებზე მოსამართლეები უმეტესად იცავდნენ ეთიკის ნორმებს და კონსტრუქციულად მიმართავდნენ სხდომაზე მყოფ პირებს, თუმცა გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები მხარეების მიმართ უხეშ ან აგრესიულ დამოკიდებულებას ავლენდნენ. იმ სასამართლო სხდომებიდან, რომლებზეც განხორციელდა მონიტორინგი, 23 სხდომაზე ადგილი ჰქონდა მოსამართლის მხრიდან არაეთიკურ ქცევას.
- ☑ უმეტეს შემთხვევაში დამკვირვებლები მიუთითებენ, რომ მოსამართლეები თანასწორად ეპყრობოდნენ მხარეებს, თუმცა იყო სხდომები, რომლებზეც მოხალისეებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მიკერძოებული იყო ერთ-ერთი მხარის მიმართ. 33 სასამართლო სხდომაზე, დამკვირვებლების შეფასებით, მოსამართლის მხრიდან მხარეების მიმართ თანასწორ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია.
- ☑ იმ სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე, რომლებსაც აკვირდებოდნენ მოხალისე დამკვირვებლები, ჯამში, 528 სხდომაზე გამოცხადდა სასამართლოს გადაწყვეტილება/განაჩენი, რომელთაგან თითქმის 20%-ში გადაწყვეტილების/განაჩენის შინაარსი არ იყო ცხადი.
- ☑ გარდა ამისა, მოხალისეები სამართალწარმოების ხანგრძლივ ვადებს და განსჯადობასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებენ. მაგალითად, მოხალისე უთითებს ისეთ შემთხვევას, როდესაც

წარმოებაში მიღებულ სამოქალაქო საქმეზე მოსამართლემ 1 წლის შემდეგ გადაწყვიტა, რომ საქმე ადმინისტრაციული წესით იყო განსახილველი.

I ნაწილი: სასამართლოს მუშაობის ორგანიზება

1.1. სასამართლო სხდომების ჩატარება

სასამართლო სხდომების მონიტორინგის პერიოდში მოხალისეებს წინასწარ მიეწოდებოდათ მომდევნო კვირის სასამართლო პროცესების განრიგი, ამდენად ისინი რამდენიმე დღით ადრე იყვნენ ინფორმირებული სასამართლო სხდომების ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოში მონიტორინგის მიზნით მისულმა მოხალისეებმა აღმოაჩინეს, რომ განრიგში მითითებულ დღეს სხდომა არ ტარდებოდა.

როგორც დამკვირვებლების მოწოდებული მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, **1341 სხდომიდან, რომელზეც მონიტორინგი განხორციელდა, ჩატარდა - 1268, ხოლო არ ჩატარდა - 73.** ეს უკანასკნელი რაოდენობა მოიცავს, როგორც სხვა დროისთვის გადადებულ, ასევე ისეთ სხდომებს, რომლებიც საერთოდ არ გახსნილა და შესაბამისად არავის გაუკეთებია განმარტება გადადების/არჩატარების მიზეზებთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან, მომდევნო დიაგრამებში მოცემულია ჩატარებული 1268 სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგები.

კითხვა: ჩატარდა თუ არა სასამართლო სხდომა, რომელიც დაგეგმილი იყო?

დიაგრამა #5: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი 18 სასამართლოში



დიაგრამა #6: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



1.2. სასამართლო სხდომის დაწყების პუნქტუალობა

სასამართლოს გადატვირთულობის პირობებში ხარისხიანი სასამართლო სერვისის უზრუნველყოფა მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეების მხრიდან შესაბამის ძალისხმევას მოითხოვს, რათა ზიანი არ მიადგეს ადამიანის კანონით მინიჭებულ უფლებას სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებაზე.

სხდომების ჩატარების პუნქტუალობა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, რომელიც სასამართლო სხდომებზე დაკვირვების დროს გამოვლინდა. მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყება სისტემატურ ხასიათს ატარებს. მონიტორინგის პროცესში ჩატარებული სხდომების 38%-ზე მეტი დაგვიანებით დაიწყო (იგულისხმება 5 წუთზე მეტით დროის გადაცილება). მოხალისე დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სასამართლო სხდომების დაგვიანების ხანგრძლივობა ზოგ შემთხვევაში ერთ საათსაც კი აჭარბებდა.

ჩატარებული 1268 სხდომიდან დაგეგმილ დროს (არაუმეტეს 5 წუთის დაგვიანებით) დაიწყო 781 სხდომა (62%), ხოლო დაგვიანებით – 487 სხდომა (38,41%).

კითხვა: რა იყო სასამართლო სხდომის დაწყების დაგეგმილი და ფაქტობრივი დროები?

სხდომა დაიწყო დაგეგმილ დროს ან არაუმეტეს 5 წუთის დაგვიანებით

დიაგრამა #7: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი[11]



მონიტორინგის პერიოდში რუსთავის საქალაქო სასამართლოში 284 პროცესიდან, რომელზეც მონიტორინგი განხორციელდა, 182 სხდომა დაიწყო (5 წუთზე მეტი დროით) დაგვიანებით,

[11] ვინაიდან ქარელის მაგისტრატი სასამართლო, დამკვირვებლის ცნობით, დაკეტილი იყო მონიტორინგის განმავლობაში, დიაგრამა #7-ის და მომდევნო დიაგრამების მონაცემები მოიცავს ჩვიდმეტ სასამართლოში ჩატარებული პროცესების მონიტორინგის შედეგებს.

გორის რაიონულ სასამართლოში 303 სხდომიდან – 129, ხაშურის რაიონულ სასამართლოში 204-იდან – 50, კასპის მაგისტრატ სასამართლოში 88-იდან - 34, ზუგდიდის რაიონულ 85-იდან 9, გურჯაანის რაიონულ სასამართლოებში 15-იდან – 9, ბათუმის საქალაქო სასამართლოში 60-იდან – 23; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 63-იდან – 14, მცხეთის რაიონულ სასამართლოში 35-იდან – 14, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 100-იდან – 22.

დიაგრამა #8: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



სხდომათა დაგვიანების საშუალო მაჩვენებლები 15-იდან 50 წუთამდე მერყეობს. #8 დიაგრამაზე მითითებულია მხოლოდ ის სასამართლოები, სადაც დამკვირვებლების მიერ მონიტორინგი, საერთო ჯამში, *10-ზე მეტ სხდომაზე* განხორციელდა. შესაბამისად, საშუალო მაჩვენებელი ამის საფუძველზეა გაანგარიშებული.

1.3. სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყების მიზეზები

დამკვირვებლების მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სხდომების დროულად არდაწყების ძირითად მიზეზებს შორისაა მოსამართლის ან მხარეების მიერ სხდომაზე დაგვიანება, ასევე, წინა სხდომის გვიან დასრულება.

კითხვა: დაგვიანების შემთხვევაში, რა იყო ამის მიზეზი და ვინ დაიგვიანა პროცესზე?

☑ **დამკვირვებლების შეფასებები**

» **<u>პროცესები, რომლებზეც მოსამართლემ დააგვიანა:</u>**

„სხდომის დაწყება დაგეგმილი იყო 15:00 საათზე და დაიწყო 15:22 საათზე. მხარეები ადგილზე იყვნენ, მოსამართლემ დააგვიანა და მიზეზი არ განუმარტავს.“ - ბათუმის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„[დაგეგმილი იყო] 13:00 საათზე და დაიწო 13:29 საათზე. დაგვიანების მიზეზი უცნობია. დარბაზში იმყოფებოდა დაცვის მხარე და ბრალდების მხარე, ხოლო მოსამართლე შემოვიდა დაგვიანებით.“ - რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„დაგეგმილი დრო 12:00 საათი, ფაქტობრივი დაწყების დრო 12:40 საათი. მოსამართლემ დაგვიანებით დაიწყო პროცესი.“ – გორის რაიონული სასამართლო, 01.03.2023.

„დადგენილი დრო იყო 13:00 საათი, ფაქტობრივი დაწყების დრო 15:10 საათი. მოსამართლემ გვიან დაიწყო პროცესი.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 22.06.2023.

» **<u>მხარეთა დაგვიანება:</u>**

„პროცესი უნდა დაწყებულიყო 13:00 საათზე, თუმცა დაიწყო 25 წუთის დაგვიანებით, ამაზე რეაქცია არავის ჰქონია. ჯერ ელოდებოდნენ მოსარჩელეს, შემდგომ მოპასუხე მხარეს, ადვოკატები დროულად გამოცხადდნენ.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.10.2022.

„პროცესის დაგეგმილი დრო იყო 11:00 საათი, დაიწყო 11:30 საათზე. დაგვიანების მიზეზი იყო მხარეების არგამოცხადება, რის გამოც მოსამართლემ შენიშვნა მისცა მათ.“ – გორის რაიონული სასამართლო, 22.12.2022.

„დაგეგმილი დრო იყო 12:00 საათი, ფაქტობრივი დაწყების დრო 14:00 საათი. ბრალდების მხარე დროულად არ გამოცხადდა პროცესზე.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 06.04.2023.

„ფაქტობრივი დაწყების დრო 11:20 წუთი. დაგეგმილი დრო 11:00 საათი. სასამართლო ელოდებოდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებს, თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ პროცესზე." – გორის რაიონული სასამართლო, 26.07.2023.

» <u>**წინა პროცესის მოსალოდნელზე გვიან დასრულება:**</u>

„სასამართლო სხდომა დაგეგმილი იყო 14:30 საათზე და დაიწყო 39 წუთის დაგვიანებით, 15:09 საათზე. დაგვიანების მიზეზი არავის განუმარტავს. მანდატურებს შორის საუბრიდან გავიგე, რომ სასამართლოს წინა სხდომა დასრულდა გვიან და ამიტომ დაგვიანებით დაიწყო მოცემული სხდომა. მხარეები დაგეგმილ დროს ადგილზე იყვნენ." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 21.10.2022.

„პროცესის დაგეგმილი დრო იყო 13:00 საათი, დაიწყო 13:30საათზე. დაგვიანების მიზეზი – სხვა პროცესის გახანგრძლივება." – გორის რაიონული სასამართლო, 05.12.2022.

„სასამართლო სხდომა დაიწყო დაგვიანებით, რადგან იმ სასამართლო დარბაზში, რომელშიც უნდა დაწყებულიყო სხდომა, მიმდინარეობდა წინა პროცესი და სხდომა გვიან დაიწყო. ამ ყველაფერს კი ისიც დაემატა, რომ #7 დარბაზის მაგივრად, სხდომა ჩატარდა #3 სასამართლო დარბაზში." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 02.11.2022.

„1 საათით გვიან ჩატარდა სხდომა, მიზეზი კი წინა სხდომის თავის დროზე დაუსრულებლობა იყო." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 06.06.2023.

» <u>**სხვა მიზეზები:**</u>

„დაგეგმილი დრო: 13:00 საათი, დაწყების დრო: 13:57 საათი. დაგვიანების მიზეზი გახლდათ არქივის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ, მხარეების თქმით, ის ვერ ახერხებდა მოსვლას, პროცესი მაინც დაგვიანებით დაიწყო." – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 25.10.2022.

„რაც პროცესებზე ვყოფილვარ თითქმის არასდროს დაწყებულა ზუსტ დროს და არც არასდროს არავინ აღნიშნავს ამას, მათ შორის – არც მოსამართლე." – *ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 08.12.2022.*

„დაგეგმილი დრო: 11:30 საათი, ფაქტობრივი დრო: 13:20 საათი. ბრალდებული გვიან წარადგინეს, ამ დროის განმავლობაში პროკურორის შემდეგი პროცესი დაიწყო, რის გამოც აღნიშნული პროცესის დასრულებამდე ლოდინი გახდა საჭირო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 12.12.2022.

„მიზეზი არ ვიცი რატომაც არ დაიწყო სხდომა დროულად და არც არავის განუმარტავს, როგორც ხშირ შემთხვევებში ხდება.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 18.01.2023.

„პროცესი დაგვიანდა ერთი საათით. დაგვიანების მიზეზი იყო თანაშემწის გასვლა სკოლაში და, სავარაუდოდ, მოუმზადებელი მოსამართლე ამ პროცესისათვის.“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 03.02.2023.

„11:30 საათზე უნდა დაწყებულიყო და 15-20 წთ დაგვიანდა, მიზეზი ჩემთვის გაურკვეველია, ვერც მივხვდი რა მოხდა და არც არავინ ახსნა პროცესზე, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყო [...].“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 31.03.2023.

„[მხარეებმა] მე მკითხეს, აბა დაურეკე და კითხე, პროცესი გადაიდო თუ არაო.“ – გორის რაიონული სასამართლო, 13.04.2023.

» <u>ერთდროულად სხვადასხვა სხდომის დანიშვნა:</u>

„მოსამართლეს ერთ და იგივე დროს ორი პროცესი ჰქონდა ჩანიშნული. მხარეებიც ამ ორივე პროცესზე ერთდროულად გამოცხადდნენ. ერთი პროცესის მხარეს უთხრა მოსამართლემ, რომ დამსწრეთა სკამზე მოეცადა და მეორე პროცესის მხარეებს მალე გაუშვებდა. ამიტომ, გასაგები იყო დაგვიანების მიზეზი.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.12.2022.

1.4. დაგვიანების მიზეზების შესახებ განმარტებები

სასამართლო სხდომის დაგვიანებას შესაძლოა ობიექტური მიზეზებიც ჰქონდეს, თუმცა ხშირი და ხანგრძლივი დაგვიანებების პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ სისტემის არაორგანიზებულობაზე მიუთითებს, ასევე, უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს ავტორიტეტზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მუშაობა იყოს უფრო ორგანიზებული, სხდომის დაგვიანების შემთხვევაში კი მიზეზები განემარტოთ პროცესის მონაწილეებსა თუ სხვა დამსწრე პირებს. ამ მხრივ საკმაოდ არასახარბიელო ტენდენცია იკვეთება, რადგან სხდომების მონიტორინგმა ცხადყო, რომ სასამართლოში სხდომის დაგვიანების მიზეზებს უმეტეს შემთხვევაში არავინ განმარტავს. მონიტორინგის პროცესში დაგვიანებით დაწყებული სხდომების მეოთხედსაც ვერ აღწევს იმ სხდომათა რაოდენობა, რომლებზეც დაგვიანების მიზეზები განიმარტა. კერძოდ, დაგვიანებით დაწყებული 487 სხდომიდან მხოლოდ 109 სხდომაზე (22,38%) განმარტეს დაგვიანების მიზეზები.

კითხვა: თუ სასამართლო სხდომა დაიწყო დაგვიანებით, განმარტა ან მოიბოდიშა თუ არა ვინმემ?

დიაგრამა #9: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



☑ **დამკვირვებლების შეფასებები**

» **<u>მოსამართლის განმარტებები დაგვიანების შესახებ:</u>**

„მოსამართლემ მოიბოდიშა და განმარტა, რომ სხდომის უნებლიე გაჭიანურებამ გამოიწვია დაგვიანება.“ – მცხეთის რაიონული სასამართლო, 29.10.2022.

„მოსამართლემ მოიბოდიშა და დაგვიანება ახსნა სასამართლოს გადატვირთულობით, ახსენა არასრულწლოვანის პროცესი, რომელსაც დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა.“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 31.10.2022.

„დაიგვიანა მოსამართლემ და მოიხადა ბოდიში.“ – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 26.12.2022.

„პროცესზე დააგვიანა მოსამართლემ, მან მოიბოდიშა და აღნიშნა, რომ იგი [ვინაიდან კასპის მაგისტრატ და გორის რაიონულ სასამართლოებში ახორციელებს უფლებამოსილებას] იმყოფებოდა გორის რაიონულ სასამართლოში...“ – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 09.01.2023.

„პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, მოსამართლე მას დაელოდა, ასევე, სხდომის მდივნის მხრიდან მოხდა მოპასუხესთან დაკავშირების მცდელობა და გარკვევა მიზეზისა, თუმცა მოპასუხის მხრიდან უკუკავშირი არ დაფიქსირდა. მოსამართლემ განმარტა, რომ ამის გამო სხდომა გადაიდო." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 26.10.2022.

„სასამართლო სხდომა ჩატარდა 34 წუთის დაგვიანებით ტექნიკური ხარვეზის გამო. ამ სხდომამდე პროცესები კი ამავე, ტექნიკური მიზეზით გადაიდო. მას შემდეგ, რაც მოსამართლე სხდომის დარბაზი შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ საჯაროო რეესტრი დისტანციურად ერთვებოდა და ამის გადასაღებად ცალკე იყო ვიდეოთვალი საჭირო. სხდომის მდივანი და მანდატურები რამდენიმე წუთის (დაახლოებით, 5 წუთი) მანძილზე ეძებდნენ, სხვა სხდომის დარბაზში ხომ არ იყო ზედმეტი, თავისუფალი ვიდეოთვალი. საბოლოოდ, სხდომა მოსამართლემ ამიტომ გახსნა 34 წუთის დაგვიანებით და განმარტა, რომ დაგვიანების მიზეზი იყო ტექნიკური ხარვეზი." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 25.11.2022.

„მოსამართლემ განმარტა, რომ მანტია ვერ იპოვა და შემდეგ სხვა მოსამართლეს ელოდებოდა, რომ მისი მანტიით ესარგებლა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 10.01.2023.

„მოსამართლემ განმარტა პროცესის დაგვიანებით ჩატარებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მოპასუხის წარმომადგენელი დაუკავშირდა სასამართლოს და უთხრა დაგვიანების მიზეზი." – გორის რაიონული სასამართლო, 23.02.2023.

„მოსამართლემ მოიბოდიშა, მისი განმარტებით, უნივერსიტეტში იყო ლექციის ჩასატარებლად." – გორის რაიონული სასამართლო, 12.04.2023.

„მოსამართლემ განმარტა, რომ ტექნიკური პრობლემა იყო და ვერ დაიწყო პროცესი დროულად." – გორის რაიონული სასამართლო, 05.05.2023.

„პროცესის დაწყება დაგვიანდა, რადგან მოსამართლეს სხვა სასამართლოში ჰქონდა პროცესი და მას უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, ამ ყველაფერზე მოსამართლემ განმარტება გააკეთა და მოიბოდიშა..." – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 15.05.2023.

„მოსამართლემ თქვა, რომ დაგვიანების მიზეზი იყო ის, რომ სხვა სასამართლო პროცესი ჰქონდა." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 18.05.2023.

» <u>სხდომაზე დაგვიანება განმარტების/ბოდიშის გარეშე:</u>

„ბოდიში არ მოუხდიათ, მაგრამ თარჯიმანს ველოდებოდით, რომელიც სხვა პროცესზე იყო და გასაგები იყო დაგვიანების მიზეზი.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.12.2022.

„არ მოუბოდიშებიათ. დარბაზში ვისხედით და ველოდით ბრალდებულის ჩართვას ტექნიკური საშუალებით, რომელიც სასამართლოს მხრიდან მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.01.2023.

„ბოდიში არ მოუხდიათ, მაგრამ სხვა მოსამართლის სხდომის მდივანი შვებულებაში იყო და სწორედ ამ სხვა მოსამართლის გამო ვერ დაიწყო ხსენებულმა მოსამართლემ საქმის განხილვა დაგეგმილ დროს. დარბაზში შემოვიდა „სხვა მოსამართლე“ და განმარტა, […] ცოტა შეფერხდებოდა დაგეგმილი პროცესის დაწყება.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 02.02.2023.

„დაგვიანებისათვის არავის არ მოუბოდიშებია, უბრალოდ რომ არა მხარეების ადვოკატების დაჟინებული მოთხოვნა, ეს პროცესი არც ჩატარდებოდა, რადგან საერთოდ არ იყო მზაობა ამ პროცესის ჩატარებისა არც მოსამართლის მხრიდან და არც თანაშემწის მხრიდან.“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 03.02.2023.

„ჯერ არ დავსწრებივარ ისეთ პროცესს, სადაც ვინმე განმარტავს, თუ რატომ დაგვიანდა პროცესის დაწყება.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 10.04.2023.

» <u>დაგეგმილ დროზე ადრე დაწყებული სხდომა:</u>

„სასამართლო პროცესი დაიწყო ადრე, რაზეც განმარტება არ გაუკეთებია მოსამართლეს.“ – გორის რაიონული სასამართლო, 31.10.2022.

„ფაქტობრივი დაწყების დრო 11:30 საათი, დადგენილი დრო 12:00 საათი. მოსამართლემ ადრე დაიწყო პროცესი. ამასთან დაკავშირებით მან გააკეთა განმარტება და მხარეებს უთხრა, ადრე დაწყების გამო რაიმე პრობლემა ხომ არ შეიქმნებოდა.“ – გორის რაიონული სასამართლო. 15.06.2023.

» <u>სხდომის დროულად დაწყება:</u>

„12:00-ზე იყო პროცესი ჩანიშნული და დაიწყო დროულად. ზოგადად, აღნიშნული მოსამართლის პროცესებს რასაც დავესწარი, 95% პროცესების დროულად დაიწყო, დანარჩენი 5% კი მოსამართლის ბრალეულობით არ ყოფილა დაგვიანებული.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 03.07.2023.

II ნაწილი: პროცედურული სამართლიანობა

2.1. სასამართლო პროცესის ეტაპის დასახელება

სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლებას აძლევს, დაესწროს სასამართლოს სხდომას და თვალი ადევნოს, თუ როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება. იმისათვის, რომ პროცესის საჯაროობის მინიმალური სტანდარტი იყოს დაცული, მხოლოდ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა საკმარისი არ არის. საჭიროა, მოსამართლეებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ პროცესის გამჭვირვალობა, რათა დაინტერესებული ადამიანებისთვის უფრო ნათელი და გასაგები იყოს სასამართლო სხდომაზე განხორციელებული ესა თუ ის საპროცესო მოქმედება ან მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ სხდომაზე დამსწრე პირთათვის, სულ ცოტა, დაასახელოს და განმარტოს საქმის განხილვის ეტაპი.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ მოსამართლეებმა უმეტეს შემთხვევაში დაასახელეს სასამართლო პროცესის ეტაპი. კერძოდ, 1268 ჩატარებული სხდომიდან 737 სხდომაზე მოსამართლემ დაასახელა საქმის განხილვის ეტაპი, რაც დაკვირვებული სხდომების 58,12%-ს შეადგენს. **დამკვირვებლების ინფორმაციით, 492 სხდომაზე მოსამართლეს არ დაუსახელებია სასამართლო პროცესის ეტაპი,** ხოლო, 39 შემთხვევაში დაუდგენელია, რადგან სხდომათა დარბაზში ხმაურის, მოსამართლის მიერ ზედმეტად ხმადაბლა საუბრის ან სხვა ფაქტორების გამო, სხდომაზე დამსწრე პირებისთვის რთული იყო მოსამართლის საუბრის აღქმა და, შესაბამისად, დამკვირვებლებისთვის უცნობია, დაასახელა თუ არა მოსამართლემ საქმის განხილვის ეტაპი.

კითხვა: დაასახელა თუ არა მოსამართლემ, სასამართლო პროცესის რა ეტაპი იყო?

დიაგრამა #10: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- » რუსთავის საქალაქო სასამართლოში 312 სასამართლო სხდომიდან მოსამართლემ პროცესის ეტაპი 183 სასამართლო სხდომაზე დაასახელა;
- » გორის რაიონულ სასამართლოში 308 სასამართლო სხდომიდან – 127 სასამართლო სხდომაზე;
- » ხაშურის რაიონულ სასამართლოში 204 სასამართლო სხდომიდან – 132 სასამართლო სხდომაზე;
- » კასპის მაგისტრატ სასამართლოში 89 სასამართლო სხდომიდან – სულ ცოტა, 67 სასამართლო სხდომაზე;
- » ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 85 სასამართლო სხდომიდან – 78 სასამართლო სხდომაზე;
- » ბათუმის საქალაქო სასამართლოში 66 სასამართლო სხდომიდან – 29 სასამართლო სხდომაზე;
- » ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო 64 სხდომიდან – 20 სასამართლო სხდომაზე.

დიაგრამა #11: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„საქმის განხილვის შემდგომ გავიგე, თუ რა ეტაპი იყო, ვინაიდან ხმა არ ისმოდა თავდაპირველად მოსამართლის, ვინაიდან ჩვენ წინ იყო მინის კედელი, საიდანაც გვიჭირდა ხმის გაგება.“– რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„მოსამართლეს არ უთქვამს, სასამართლო პროცესი რა ეტაპზე იყო, მაგრამ საუბრიდან მივხვდი რომ მოსამზადებელი სხდომა იყო.“– ბათუმის საქალაქო სასამართლო, 15.11.2022.

„მოსამართლეს არ უთქვამს, მაგრამ მოსარჩელემ ახსენა, რომ მოსამზადებელი ეტაპი იყო.“– რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.11.2022.

„მოსამართლემ სხდომის გახსნის შემდეგ გააკეთა განმარტება, თუ რას ეხებოდა საქმე და განხილვის რა ეტაპი იყო. სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განხილვის მოსამზადებელი ეტაპი იყო." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 25.11.2022.

„დაასახელა, თუმცა არა თავიდან. დაახლოებით, ნახევარი საათის შემდეგ გავიგე, რომ ეს იყო საქმის მოსამზადებელი ეტაპი, როდესაც მან აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ეტაპი დასრულდა და ახალ ეტაპზე გადავიდა პროცესი." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.11.2022.

„დარბაზში გამოყოფილი იყო ადგილი ნაფიცი მსაჯულებისთვის და შუშის უკან ვისხედით დამსწრეები. მიკროფონში ძალიან ცუდად ისმოდა ხმა, თითქმის არ მესმოდა არაფერი გარკვევით." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 16.01.2023.

„მოპასუხე მხარის კითხვების ეტაპზე იყო და მოსამართლემ პროცესის დაწყებისთანავე ახსენა." – გორის რაიონული სასამართლო, 22.03.2023.

„როგორც მივხვდი, პირველი პროცესი არ უნდა ყოფილიყო. მოსამართლისგან არ მომისმენია მსგავსი ეთქვა." – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 23.03.2023.

„ძალიან გამიკვირდა, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კონკრეტულად ამ მოსამართლემ არ დაასახელა სასამართლო პროცესი რა ეტაპზე იყო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 02.05.2023.

„მოსამართლემ დაასახელა, რომ სასამართლო აგრძელებდა მოწმეთა დაკითხვის ეტაპს." – გორის რაიონული სასამართლო, 24.05.2023.

„მოსამართლემ პირდაპირ დაიწყო საქმის თაობაზე განხილვა, მან უბრალოდ განაცხადა რას შეეხებოდა საქმე." – გორის რაიონული სასამართლო, 29.05.2023.

„თავიდანვე არ უთქვამს, მაგრამ შემდეგ საუბარში ახსენა, ახსნა განმარტების ეტაპი." – გორის რაიონული სასამართლო, 13.07.2023.

2.2. მოსამართლის დამოკიდებულება სხდომის დამკვირვებლის მიმართ

სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი სასამართლო პროცესის საჯაროობაა. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო პროცესის საქვეყნოობა სამართლიანი განხილვის განუყოფელი ნაწილია. ეს პრინციპი ნებისმიერ სრულწლოვან პირს უფლებას ანიჭებს, დაესწროს სასამართლო სხდომას და უშუალოდ დააკვირდეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. გარდა იმ

კანონისმიერი გამონაკლისებისა, რომლებიც საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის სხდომის დახურვას ითვალისწინებს, მოსამართლეს არ აქვს უფლება, უსაფუძვლოდ აუკრძალოს მოქალაქეს (თუკი ის არ არღვევს წესრიგს) სასამართლო სხდომაზე დასწრება ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი სასამართლო პროცესზე დაკვირვებას.

ჩატარებული 1268 სხდომის მონიტორინგის საფუძველზე, დამკვირვებლებმა უმეტესად პოზიტიურად და ნეიტრალურად შეაფასეს მოსამართლის რეაქცია სხდომაზე მათი დასწრების ფაქტთან დაკავშირებით. ორივე შემთხვევას – დამკვირვებლის მიმართ როგორც პოზიტიურ, ასევე ნეიტრალურ დამოკიდებულებას – „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ დადებითად მიიჩნევს. თუმცა მონიტორინგის პროცესში იყო შემთხვევები, როდესაც, დამკვირვებლების შთაბეჭდილებით, მოსამართლემ სხდომაზე მათი დასწრების ფაქტთან დაკავშირებით ნეგატიური რეაქცია გამოხატა. დამკვირვებლები 14 ასეთ ფაქტს ასახელებენ.

კითხვა: რა დამოკიდებულება ჰქონდა მოსამართლეს დამკვირვებლის მიმართ, რომელიც სხდომას ესწრებოდა?

დიაგრამა #12: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი ჩვიდმეტ სასამართლოში



დიაგრამა #13: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

» <u>**პოზიტიური და ნეიტრალური დამოკიდებულება**</u>

„მოსამართლეს ჰქონდა ჩვეულებრივი რეაქცია, მას დამკვირვებლის ყოფნაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, მან საკუთარი მოვალეობის და ფუნქციის შესრულება განაგრძო.“ – მცხეთის რაიონული სასამართლო, 29.10.2022.

„მოსამართლეს არ შეუმჩნევია დარბაზში უცხო პირების ყოფნა, საკუთარ საქმეს აკეთებდა ჩვეულებისამებრ.“ – გორის რაიონული სასამართლო, 01.11.2022.

„ჩემი აზრით, მოსამართლე მიეჩვია ამ ფაქტს და რეაქცია არ აქვს. ნუ არც აქამდე უთქვამს ჩემთვის რაიმე და ცუდი დამოკიდებულებაც არ მიგრძნია, უბრალოდ ვფიქრობ, მიეჩვია დამკვირვებლის დარბაზში ყოფნას." – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 27.01.2023.

„მოსამართლე ვერც კი მამჩნევდა, ძლივს დაწყებულ პროცესზე იგი ძალიან ბევრ არათემატურ საკითხს შეეხო, ისაუბრა ყველაფერზე და არა საქმეზე. დამრჩა განცდა, რომ მან საკითხი საერთოდ არ იცოდა და ცდილობდა, როგორმე დაერწმუნებინა მხარეები პროცესის გადადებაზე." – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 03.02.2023.

„არანაირი. აღნიშნული მოსამართლის პროცესს პირველად არ ვესწრები, აქამდეც ვესწრებოდი, რაიმე სახის დამოკიდებულება ჩემს მიმართ არ მიგრძნია. ცუდი არა, უფრო ჩვეულებრივი." – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 16.02.2023.

„[…] ჰქონდა ნეიტრალური დამოკიდებულება. სასამართლო პროცესის შემდეგ გამაცნო მომდევნო კვირების გრაფიკი და შედარებით საინტერესო პროცესების სია." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 24.02.2023.

„მოსამართლე მდივანს შეეკითხა, თუ ვინ ვიყავით და რატომ ვესწრებოდით." – გორის რაიონული სასამართლო, 15.03.2023.

„აღნიშნა, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასწრება უფრო საინტერესოა." – ფოთის საქალაქო სასამართლო, 02.04.2023.

„იკითხა ვინ ვიყავი და როცა ვუპასუხე, მეტი კომუნიკაცია მასთან არ მქონია." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 05.04.2023.

„სამწუხაროდ, წესიერად ვერ გავიგე ვერაფერი სასამართლო სხდომაზე, რადგან თითქმის არ ისმოდა ხმა, სამწუხაროდ, სხდომის არცერთი მონაწილე არ იყენებდა ხმის გამაძლიერებელ მოწყობილობას. რაც გავიგე მხოლოდ ის იყო, რომ პოლიციის მესამე განყოფილებას სასამართლოსთვის არ ჰქონდა გადაცემული საქმის მასალები სრულად." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 18.04.2023.

„მოსამართლეს მანდატურმა აცნობა, რომ მის რამდენიმე პროცესს მინდოდა რომ დავსწრებოდი და მან თანხმობა განაცხადა." – სიღნაღის რაიონული სასამართლო, 27.04.2023.

„მცირე გაუგებრობის შემდეგ, მოსამართლემ შეიტყო, რომ ვიყავი მონიტორინგზე და უფლება მომცა დავსწრებოდი დახურულ პროცესსაც კი იმ მოტივით, რომ პროცესების მონიტორინგი უნდა მოხდეს როგორც ღია, ისე დახურულის (ბოლო წინადადება მოსამართლის წარმოთქმულია)." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 15.05.2023.

„ვფიქრობ, რომ მისი დამოკიდებულება სრულიად ნეიტრალური იყო. უბრალოდ, გაკვირვებული იყო, როდესაც რაღაცებს ვინიშნავდი, სხვა რაიმე კომენტარს ან ქმედებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია." – გორის რაიონული სასამართლო, 29.05.2023.

» <u>დამკვირვებლის მიმართ ინტერესი მოსამართლეების ან სასამართლოს თანამშრომლების მხრიდან</u>

„მოსამართლის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება არ მიგრძნია, თუმცა მას შემდეგ რაც პროცესი დასრულდა, მოსამართლემ მდივანს ჰკითხა : „ეს გოგო ვინ არის?". პასუხის გაცემის შემდეგ მოსამართლე დაინტერესდა, მხოლოდ მის პროცესებს ვესწრებოდი თუ სხვა მოსამართლეების პროცესებსაც. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უარყოფითი დამოკიდებულება მოსამართლის მხრიდან არ მიგრძნია, მაგრამ, მიმაჩნია, რომ საჯაროობის პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ ვინ ან რამდენი ადამიანი ესწრება მის პროცესს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ მხარეებს/მხარეთა წარმომადგენლებს." – გორის რაიონული სასამართლო, 03.11.2022.

„მოსამართლეს ეტყობოდა აშკარა ინტერესი დამკვირვებლის მიმართ, თუმცა არაფერი უკითხავს. [...]" – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 14.12.2022.

„ნეიტრალური, თუმცა უფლებების განმარტების ეტაპზე, მხარეებთან ერთად, დამკვირვებელიც მოიხსენია და განუმარტა მათი უფლებები და სასამართლო დარბაზში ქცევის წესები." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 25.11.2022.

„მოსამართლე ყოველთვის ეკითხება დამსწრეებს, ვინ ვინ არის და რატომ ესწრება პროცესს, არ გამოხატავს არანაირ ნეგატიურ დამოკიდებულებას." – გორის რაიონული სასამართლო, 15.06.2023.

„მკითხა, თუ რომელი ორგანიზაციიდან ვიყავი და შემდეგ წარმატებები მისურვა." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 19.07.2023.

» <u>კეთილგანწყობა მოხალისეების მიმართ:</u>

„მოსამართლე თავაზიანი და კეთილგანწყობილი იყო სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. არ გამოუხატავს ცუდი დამოკიდებულება არავის მიმართ." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„მოსამართლეს ჰქონდა დადებითი დამოკიდებულება დამსწრეთა მიმართ. იყო კეთილგანწყობილი." – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 21.10.2022.

„მოსამართლემ ჩემი დარბაზში შესვლისას მანდატურს ჰკითხა, ვიყავი თუ არა მხარე, რაზეც მე უარი განვაცხადე. ჩემი პასუხის მოსმენის შემდეგ მოსამართლემ მითხრა: ,,ძალიან კარგი, შეგიძლიათ დაბრძანდეთ და მოისმინოთ". საბოლოო ჯამში, შემიძლია ვთქვა, რომ მოსამართლე ჩემ მიმართ იყო კეთილგანწყობილი." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 24.10.2022.

„ძალიან მოწიწებით იქცეოდა, რამდენიმეჯერ აღნიშნა რომ პროცესს დამკვირვებელი ესწრებოდა და ემოციური ფონის გამოვლენა არ იყო საჭირო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.10.2022.

„მოსამართლეს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ, ვგრძნობდი მის ოდნავ დაძაბულობას, თუმცა მან პროცესი სრული წესის დაცვით ჩაატარა." – გურჯაანის რაიონული სასამართლო. 03.02.2023.

„დადებითი, მოსამართლე გამომელაპარაკა და გაიგო, რომ სტუდენტი ვიყავი და მსურდა პროცესებზე დასწრება." – ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო. 22.02.2023.

„მოსამართლე პოზიტიურად იყო განწყობილი დამკვირვებლის სასამართლო პროცესზე დასწრებასთან დაკავშირებით, ასევე, უფრო გასაგები და აღსაქმელი რომ ყოფილიყო მისი გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, მხარეებისთვისა და დამსწრეთათვისაც დამატებით განმარტა." – გორის რაიონული სასამართლო, 12.04.2023.

„მკითხეს სახელი და გვარი, ორგანიზაციის სახელწოდება და მიღიმოდნენ საუბრის დროს." – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 27.04.2023.

„მოსამართლე დაინტერესდა, ვინ ვიყავი, თქვენ რამდენიმე პროცესზე მესწრებით უკვეა და ვინ ბრძანდებითო, […] კარგია რომ ხარ დაინტერესებულიო სასამართლო სხდომებითო." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 18.05.2023.

„თავაზიანად მკითხა, ვინ ვიყავი და რატომ ვესწრებოდი, მიესალმა პროცესზე დასწრებას, ასევე იკითხა, მხოლოდ მის პროცესებს ვაკვირდებოდი თუ სხვა მოსამართლეებსაც ვესწრებოდი." – გორის რაიონული სასამართლო, 08.06.2023.

» <u>ნეგატიური დამოკიდებულება:</u>

„ამ მოსამართლის მიმართ განვეწყვე უარყოფითად, ვინაიდან პროცესის დაწყებამდე პრობლემა შემექმნა შესვლასთან დაკავშირებით, ცდილობდნენ არ შევსულიყავი ამ პროცესზე. მოსამართლე სულ ჩემკენ იყურებოდა ეჭვის თვალით. თავდაპირველად მითხრეს, რომ

მოიფიქრებდნენ, თუ დამიშვებდნენ. შემდგომ გადალაპარაკებები იყო, ვიღაცა კაცის თანხმობის გარეშე არ მიშვებდნენ. რაც შეეხება პროცესს, დარბაზში ყველა ფანჯარა იყო გაღებული, წვიმდა და ცუდი ამინდი იყო. ვფიქრობ, სპეციალურად იყო ყველა ფანჯარა ღია, ვინაიდან მოსამართლის ხმა თითქმის არ ისმოდა. ამასთან ერთად, მოსამართლის ახსნა-განმარტებები ბუნდოვანი იყო. თითქოს ერთს იტყოდა, შემდეგ ცვლიდა. დამაბნევლად საუბრობდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სულ სხვა განაჩენის გამოტანას აპირებდა და ბოლოს სხვა თქვა." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 04.11.2022.

„თავდაპირველად რომ გაიგეს, რომ ვესწრებოდი, გადაჩურჩულებები იყო. მითხრეს, გაარკვევდნენ, თუ დამასწრებდნენ. კუთხეში დამსვეს მანდატურის მეთვალყურეობის ქვეშ. საბოლოოდ შემიშვეს." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 04.11.2022.

„მოსამართლე მიყურებდა გამუდმებით, ასევე, როდესაც გახსნა სხდომა, მიმითითა, რომ ტელეფონი შემენახა (ტელეფონში ვავსებდი მონიტორინგის კითხვარს). ამავე მოსამართლეს დავესწარი გასულ კვირას და მაშინაც ტელეფონში ვავსებდი კითხვარს, მაგრამ მაშინ არაფერი უთქვამს და არც გამუდმებით მიყურებდა. ვფიქრობ, გაიგო, გუშაგიდან რომ ვიყავი და ამიტომ იქცეოდა ასე." – გორის რაიონული სასამართლო, 07.11.2022.

„მოსამართლეს არ გამოუხატავს რაიმე სახის დამოკიდებულება პირადად, მაგრამ პროცესის მიმდინარეობისას ხშირი კონტაქტი ჰქონდა ჩემთან თვალით, რაც მიქმნის იმ საფუძველს, რომ ცოტათი დაძაბული იყო ჩემი იქ ყოფნით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, პროცესი ძალიან კარგად მიჰყავდა." – მცხეთის რაიონული სასამართლო, 02.11.2022.

2.3. სასამართლო სხდომაზე მედიის წარმომადგენელთა დასწრება.

კითხვა: ესწრებოდნენ თუ არა მედიის წარმომადგენლები სხდომას და ხდებოდა თუ არა ჩაწერა აუდიო/ვიდეო მოწყობილობებით?

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 13[1]-ე მუხლი ადგენს სასამართლო სხდომის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გაშუქების წესს. შესაბამისად, დაკვირვების საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენ პროცესს ესწრებოდა მედიის წარმომადგენელი, მოხალისეების მიერ ამ პროცესების მონიტორინგისას.

დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მედიის წარმომადგენლები პროცესის გაშუქების მიზნით 17 სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ, კერძოდ – ზუგდიდის რაიონულ, გორის რაიონულ და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში.

2.4. მოსამართლის აცილება

მოსამართლის მიუკერძოებლობა სამართლიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია და იგი, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეს ავალდებულებს, თვითაცილების გზით ჩამოშორდეს საქმის განხილვას, თუკი არსებობს ისეთი გარემოებები, რაც მის მიერ საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტას შეუშლის ხელს. ამავე დროს, ეს პრინციპი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, განაცხადონ საქმის განმხილველი მოსამართლის/სასამართლოს შემადგენლობის აცილების შესახებ, თუ მიიჩნევენ, რომ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც აღნიშნული მოსამართლე/სასამართლო არ იქნება მიუკერძოებელი. სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლის აცილებას მხარეები იშვიათად ითხოვენ. 1268 ჩატარებული სხდომიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში აღნიშნეს დამკვირვებლებმა, რომ მხარე მოსამართლის აცილებას ითხოვდა. ხოლო, 13 შემთხვევაში – დამკვირვებლებს ზუსტი პასუხი არ აქვთ, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვა ფაქტორის გამო, სხდომაზე დამსწრე პირებისთვის ხშირად რთულია მოსამართლის ან პროცესის სხვა მონაწილის საუბრის აღქმა.

კითხვა: მოითხოვა, თუ არა მხარემ მოსამართლის აცილება?

დიაგრამა #14: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



☑ **დამკვირვებლების შეფასებები**

„მხარეებს მოსამართლის მიმართ აცილება არ ჰქონიათ, რაც ძალიან გამიკვირდა. გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საჯარო წყაროებიდან ცნობილია, რომ მოსამართლე არის მოსარჩელე უნივერსიტეტში ლექტორი და ვფიქრობ, ინტერესთა კონფლიქტის გამო მან არ უნდა განიხილოს მისი დამსაქმებლის სარჩელი.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 13.12.2022.

„მოსამართლემ სხდომის დაწყებისთანავე აღნიშნა ფაქტი, რომ ერთ-ერთი წარმომადგენლის მხარე იყო მისი სტუდენტი და ასევე იყვნენ ადრე თანამშრომლები. შესთავაზა აცილება, რაზეც თანხმობა მიღო, რომ არ იყო საჭირო.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 04.05.2023.

„მოპასუხე მხარის ადვოკატიც გოცირიძე იყო, ველოდი აცილებას, მაგრამ იმედია უბრალოდ მოგვარეები იყვნენ და აცილების საფუძველი არ არსებობდა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 14.06.2023.

2.5. მოსამართლის მიერ მხარეთა გულდასმით მოსმენა და გასაგები ენით საუბარი

მოსამართლის გადაწყვეტილება ემყარება კანონს და შინაგან რწმენას. იმისთვის, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი და დასაბუთებული იყოს, აუცილებელი წინაპირობაა მოსამართლის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი ცოდნა, ფაქტების სწორად აღქმა და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ბუნებრივია, როდესაც მოსამართლე, პროცესის მიმდინარეობისას, გულდასმით არ ისმენს მხარეთა პოზიციას და არგუმენტებს, იზრდება მცდარი სამართლებრივი შეფასების და, ამის შედეგად, უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ალბათობა. ამდენად, მოსამართლის პასუხისმგებლობიან მიდგომას და გულმოდგინებას განსახილველი საქმის მიმართ, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სამართლიანად გადაწყვეტისთვის.

სამართლიანი განხილვისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ პროცესის თითოეული მონაწილის სათანადოდ ინფორმირებულობას სასამართლო პროცესზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, აგრეთვე, მოსამართლისა თუ სხვა მონაწილის განცხადებების/შეკითხვების შინაარსის სრულყოფილ აღქმას. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე საუბრობდეს გარკვევით და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტავდეს სამართლებრივ ტერმინოლოგიას, როგორც მხარეებისთვის, ისე პროცესზე დამსწრე სხვა პირებისთვის. თუ იმ სასამართლო სხდომებით ვიმსჯელებთ, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა, ამ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა მეტწილად დადებითად უნდა შეფასდეს. დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე

დგინდება, რომ ჩატარებული სხდომების 96%-ზე მეტ შემთხვევაში მოსამართლე გულდასმით უსმენდა მხარეებს და განმარტავდა სამართლებრივ ტერმინოლოგიას; აგრეთვე, ცდილობდა, დარწმუნებულიყო სხდომაზე მის მიერ დასმული შეკითხვების სიცხადეში. 18 სხდომაზე, დამკვირვებლების შეფასებით, მოსამართლე არ იჩენდა გულმოდგინებას და ყურადღებით არ უსმენდა მხარეებს. ხოლო, 20 სხდომის შემთხვევაში მოხალისეები ამ საკითხზე შეფასებას არ აკეთებენ.

კითხვა: გულდასმით მოუსმინა თუ არა მოსამართლემ მხარეებს? ცდილობდა თუ არა მოსამართლე დარწმუნებულიყო, რომ მისი
შეკითხვა ან განმარტებები გაიგო პროცესის მონაწილემ პროცესის მიმდინარეობისას?

დიაგრამა #15: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დამკვირვებლების შეფასებით, მოსამართლემ არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება პროცესის მონაწილეთა მიმართ: გორის რაიონულ სასამართლოში – 6 სხდომაზე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში – 5 სხდომაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში – 4 სხდომაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 3 სხდომაზე, მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში – 1 სხდომაზე.

დიაგრამა #16: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„პროცესის მიმდინარეობას მოსამართლე მხარეებს დამაზუსტებელ კითხვებს უსვამდა, უხსნიდა კითხვების შინაარს და მაქსიმალურად ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ მხარეებმა ზუსტად გაიგეს მის მიერ დასმული შეკითხვის შინაარსი და გაკეთებული განმარტებები.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 19.10.2022.

„მოსამართლემ, გარდა უფლებების და შაბლონური მხარისა, ბრალდებულს მოქალაქისათვის გასაგები ლექსიკითაც განუმარტა თავისი უფლებები, ასევე მოსამართლემ რამდენჯერმე კითხვა გაიმეორა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბრალდებულმა გაიგო რაზე ჰქონდა მოსამართლეს საუბარი.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„მიმაჩნია, რომ მოსამართლე გულდასმით უსმენდა ორივე მხარის წარმომადგენლებს, ვინაიდან მათ მიერ მხარეთა პოზიციების გაჟღერების დროს შევნიშნე მოსამართლის მართლზომიერი ჩარევა წარმომადგენლის საუბარში, მაგ: "დიახ, გასაგებია" - აღნიშნა მოსამართლემ. აგრეთვე, მოსამართლის მიმიკები და მისი გამოხედვა გარკვეულწილად სწორედ იმაზე მეტყველებდა, რომ იგი ყურადღებით უსმენდა მხარეთა წარმომადგენლებს. [...] შეკითხვის დასმის შემდეგ მოსამართლე პარალელურად სვამდა ისეთი შინაარსის შეკითხვას, რომლის მიზანი სწორედ იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად სწორად გაიგო/აღიქვა მხარის წარმომადგენელმა მისი შეკითხვა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 28.10.2022.

„ბრალდებულის მხრიდან აგრესია მოდიოდა, თუმცა ცდილობდა მოსამართლე, განემარტა მისი ესა თუ ის უფლება-მოვალეობა, რაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას არის საჭირო და გასათვალისწინებელი.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„მოსამართლეს ეტყობოდა, რომ დეტალურად იცოდა საქმის გარემოებები, რელევანტურ და საჭირო კითხვებს სვამდა. შესაბამისად, უსმენდა მხარეებს და აძლევდა საჭირო განმარტებებსაც.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.12.2022.

„მოსამართლემ გულდასმით მოუსმინა მხარეებს, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მათგანს ჰქონდა სმენის პრობლემა, რაზეც მოსამართლემ მყისიერი რეაგირება მოახდინა და შედარებით ხმამაღლა დაიწყო საუბარი. [...].“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 03.11.2022.

„მოსამართლე ყურადღებით უსმენდა მხარეებს, ცდილობდა გაგებით მოჰკიდებოდა მათ დამოკიდებულებას რიგ საკითხებზე, ცდილობდა არ გამოეხატა პერსონალური მიკერძოებულობა მხარის მიმართ და მოთავსებულიყო ფორმალური ეთიკის წესებში. მხარეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საუბრობდა მაქსიმალურად მარტივი და გასაგები ენით. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე რიგ საკითხებს მონოტონურად კითხულობდა და მათზე ყურადღებას არ ამახვილებდა. ამის მიზეზი შესაძლოა საკითხის საქმესთან მიმართებაში არარელევანტურობა იყო, თუმცა პროცესის უცოდინარი ადამიანისთვის მსგავსი ტონი უსიამოვნო შეიძლება იყოს და აღიქმებოდეს გულგრილობად ან საქმის დაჩქარების მცდელობად.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 17.11.2022.

„პროცესზე საჭირო იყო თარჯიმანი, ამიტომაც მოსამართლე განსაკუთრებულად იყო ჩართული ამ პროცესში. ყოველთვის მიუთითებდა თარჯიმანს, გასაგებად, ნელა გადაეთარგმნა თითოეული სიტყვა ბრალდებულისთვის და ასევე დამსწრეებისთვის, რათა ყველას კარგად გაეგო საუბარი.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„მოსამართლე უსმენდა პროკურორსაც და ბრალდებულის ადვოკატსაც, ასევე, ბრალდებულს გულდასმით. მოსამართლე ბრალდებულს, რომელიც იყო ეთნიკური უმცირესობის

წარმომადგენელი, უხსნიდა ყველაფერს თავადაც და თარჯიმნის დახმარებითაც, იმასაც კი, რას ნიშნავს მოწმის მოხსნა და მსგავსი დეტალები." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 19.10.2022.

„დიახ, მოსამართლე ცდილობდა მოესმინა გულდასმით. უბრალოდ, თარჯიმნის პრობლემა იყო. ვერ თარგმნიდა სათანადოდ თარჯიმანი."– რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„მოსამართლე იყო ზედაპირულად განწყობილი." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„ნამდვილად ცდილობდა გაეგო მოსამართლეს, თუ რამდენად სწორად გაიგეს მის მიერ დასმული შეკითხვა მხარეებმა." – ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, 21.12.2022.

„მომეჩვენა, რომ არ უსმენდა მოსამართლე კარგად მხარეებს, ყურადღება რამდენჯერმე სხვა რამეზე გადაიტანა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.12.2022.

„მოსამართლე იყო გაღიზიანებული, მაგრამ მიზეზი რა იყო, არ ვიცი, დარბაზში შემოსვლისთანავე უხეშობდა." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 14.12.2022.

„მოსამართლე ნაწილობრივ ცდილობდა, რომ დარწმუნებულიყო, გაიგო თუ არა ბრალდებულმა მისი კითხვა, თუმცა ეს საკმარისი არ იყო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 02.12.2022.

„მოსამართლემ გულდასმით მოუსმინა მხარეებს, თუმცა დიდად არ ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ პროცესის მონაწილემ მისი შეკითხვა ან განმარტებები გაიგო." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 03.11.2022.

„მოსამართლე გულდასმით უსმენდა მხოლოდ მოპასუხე მხარეს, რომლის ერთი წარმომადგენელი ონლაინ იყო ჩართული, ხოლო მეორე კი პროცესზე ფიზიკურად იყო წარმოდგენილი. […] მოსამართლის მიერ მოსარჩელის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება იგრძნობოდა." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 11.11.2022.

„სხდომას ესწრებოდა მხოლოდ მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი. შეიძლება ითქვას, მოსამართლე არ უსმენდა მას." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.11.2022.

„ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი, არც იურიდიული განათლება და ვერ ხვდებოდა ტერმინოლოგიას, ძალზედ გულგრილად ესაუბრებოდა მოსამართლე." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 16.01.2023.

„მოსამართლე გულდასმით უსმენდა მხარეებს და ის ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ დარბაზში მყოფისთვის გასაგები იყო მისი დასმული კითხვა ან განმარტებები [...]“ – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 06.02.2023.

„ბრალდებული ვერ საუბრობდა ქართულად და იცოდა რუსული, ისიც ცუდად, თარჯიმანი უთარგმნიდა ბრალდებულს რუსულად, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული ყველაფერს კარგად ვერ იგებდა, რასაც თარჯიმანი უთარგმნიდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 06.02.2023

„მოსამართლე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქმეში ჩართული არასრულწლოვანების მიმართ. ცდილობდა, თავი კომფორტულად ეგრძნოთ და განსაკუთრებული გულდასმით და სიტყვების სწორი შერჩევით ცდილობდა, სათქმელი ბოლომდე და მართებულად გადმოეცა. თუ საჭიროდ ჩათვლიდა, აკეთებდა განმარტებებს და სვამდა დამატებით კითხვებს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 13.02.2023

„მოსამართლე ნამდვილად გულდასმით უსმენდა მხარეებს, ამასთანავე საუბრისას ცდილობდა მხარეებისათვის ეკითხა, რამდენად გასაგები იყო მიწოდებული ინფორმაცია მათთვის. ბრალდებული არ საუბრობდა ქართულ ენაზე, ამიტომაც მას ჰყავდა თარჯიმანი, რასაც ითვალისწინებდა მოსამართლე […]“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო. 23.02.2023.

„მოსამართლე ყურადღებით უსმენდა მხარეებს თუმცა მოპასუხის წარმომადგენელი უკმაყოფილო იყო მოსამართლის მიმართ. მისი შეფასებით, მოსამართლე იყო მოსარჩელის მიმართ კეთილგანწყობილი. ამ ფაქტის გამო მოსამართლემ მხარეს მისცა შენიშვნა. […]“ – გორის რაიონული სასამართლო, 09.03.2023.

„ენის ბარიერიდან გამომდინარე, ბრალდებულს მოსამართლის თითქმის არ ესმოდა, თუმცა ის მაქსიმალურად ცდილობდა, მარტივი ენით მიემართა მნიშვნელოვან შეკითხვებზე. აგრეთვე, თარჯიმანთან დამოკიდებულება ძალიან ყურადღებიანი და დაკვირვებული იყო. მოსამართლე აკეთებდა ყველა საჭირო განმარტებას და ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეწყო ბრალდებულისთვის ინფორმაციის სრულად მიწოდებას.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 23.03.2023.

„დოკუმენტაციას ბოლომდე ეცნობოდა მხარეების მიერ წარმოდგენილს, ხშირად სვამდა მხარეების მიმართ შეკითხვებს [...].“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 06.04.2023.

„რამდენჯერმე განუმარტავდა კანონს და რამდენჯერმე უმეორებდა კითხვას, რომ პროცესის მონაწილეს გაეგო.“ – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 06.04.2023.

„არა. მოსამართლე მობილურ ტელეფონს იყენებდა მთელი პროცესის განმავლობაში. გარდა ამისა, იგი არ უსმენდა მხარეებს და ყოველთვის სვამდა დამაზუსტებელ შეკითხვებს. მაგ: რა პასუხი გასცა ამაზე მხარემ? აღსანიშნავია, რომ ჩართული იყო თარჯიმანი." – მარნეულის მაგისტრატი სასამართლო, 21.04.2023.

„მოსამართლემ ყურადღებით მოუსმინა ადვოკატს, სოც. მუშაკს, მხარდამჭერს და მხარდამჭერის მიმღებს, რომელიც დისტანციურად ჩაერთო პროცესში." – სიღნაღის რაიონული სასამართლო, 27.04.2023.

„დიახ, უსმენდა და ბრალდებულს დეტალურად უხსნიდა მის უფლებებს, ასევე იმ ტერმინებს, რაც მისთვის შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო" – ფოთის საქალაქო სასამართლო, 02.05.2023.

„მოსამართლემ პროკურორს ორჯერ სთხოვა ერთი და იმავე შუამდგომლობის წამოყენება, რადგან ყურადღებით არ უსმენდა მას." – გორის რაიონული სასამართლო, 29.06.2023.

„მოსამართლე არ ცდილობდა შეეფასებინა, რამდენად გაიგო პროცესის მონაწილემ კითხვის შინაარსი, ამასთან, ის კითხვას სვამდა ძალიან დაბალი ხმის ტემბრის გამოყენებით და მხარეებს უჭირდათ ყურადღების დაძაბვა." – გორის რაიონული სასამართლო, 30.06.2023.

„ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი და მოსამართლე ცდილობდა, მისთვის გასაგები ენით აეხსნა, სამართლებრივი ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე, თუ რას გულისხმობდა, ასევე პროკურორიც უხსნიდა თან." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 18.07.2023.

2.6. სასამართლო პროცესზე შუამდგომლობის დაყენება

იმ ჩატარებული სასამართლო სხდომებიდან (1268), რომლებსაც მოხალისე დამკვირვებლები ესწრებოდნენ, მხარემ დააყენა შუამდგომლობა 598 სხდომაზე, ხოლო 663 სხდომაზე შუამდგომლობა არ დამდგარა, 7 შემთხვევა დამკვირვებლის მიერ არ არის იდენტიფიცირებული.

კითხვა: დააყენა თუ არა რომელიმე მხარემ მოთხოვნა (შუამდგომლობა) და გააკეთა თუ არა მოსამართლემ განმარტებები შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის შესახებ?

დიაგრამა #17: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დიაგრამა #18: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„მხარეებმა დააყენეს შუამდგომლობები და მოსამართლემ განმარტა, თუ რატომ დააკმაყოფილა მოთხოვნები.“ – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 25.10.2022.

„დიახ, შუამდგომლობა დააყენა მოსარჩელე მხარემ. მოსამართლემ ეს ფაქტი განიხილა, რადგან შუამდგომლობის დაკმაყოფილება იყო შეუძლებელი იმ მიზეზით, რომ შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს. მოსამართლემ ეს ხარვეზები მოსარჩელე მხარის ადვოკატს განუმარტა, თუ როგორ უნდა აღმოეფხვრათ მომავალში.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 25.10.2022.

„ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა დაზარალებულის მიერ ბრალდებულის შესახებ მეზობლების დახასიათებების ცნობის სახით მიღების შესახებ. მოსამართლემ ჰკითხა აზრი პროკურორს, განმარტა, რომ აღნიშნული იქნებოდა არა მტკიცებულება, არამედ ცნობა. აგრეთვე აღნიშნა, რომ მსგავსი დოკუმენტის წარდგენა შესაძლებელი იყო რეპლიკების დროსაც.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 12.12.2022.

„მოსარჩელის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა საჩივრის გახმობის თაობაზე, რაც დააკმაყოფილა მოსამართლემ. აღნიშნული გაუხარდა როგორც მოპასუხეს, ასევე მოსამართლესაც, რაც მოსამართლის სახეზე გამოიხატა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 31.10.2022

„მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა, რომ მას სურდა საქმესთან დაკავშირებით წარმოედგინა რეგულირების სააგენტოს დასკვნა, რის გამოც ითხოვდა სხდომის გადადებას, მაგრამ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იმ მიზეზით, რომ ეს გამოიწვევდა სასამართლოს გადატვირთვას და სასამართლოს ამდენი რესურსი არ ჰქონდა. მოსამართლემ ასევე მოახსენა მოპასუხეს, რომ მას ეს შუამდგომლობა უნდა დაეყენებინა უფრო ადრე ან შესაგებელში დაერთო.“ – გორის რაიონული სასამართლო, 07.11.2022.

„შუამდგომლობა წარმოდგენილი იყო მოპასუხის მხრიდან, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან, მისი თქმით, გამოიწვევდა ისედაც გაჭიანურებული საქმის კიდევ უფრო გაჭიანურებას.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 13.12.2022.

„არა, თუმცა მხარემ პროცესამდე ნახევარი საათით ადრე დარეკა და გააკეთა განმარტება, რომ დაეწვა სახლი და ვერ გამოცხადდებოდა სასამართლოში. დოკუმენტაცია აღნიშნული ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით წარდგენილი არ ყოფილა. მოსამართლემ განმარტა, რომ სახლის 80%-ის დაწვა წარმოადგენდა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებას. სავალდებულო იყო პროცესზე ორივე მხარის გამოცხადება მისი შინაარსიდან გამომდინარე, ამიტომ პროცესი გადავადდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 13.02.2023.

„დაცვის მხარეს ჰქონდა შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი არ ეთანხმებოდა შუამდგომლობას, მოსამართლემ ადგილზე თათბირით მიიღო დადგენილება დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე. […] ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს ჰქონდა შუამდგომლობა მტკიცებულებების დართვის შესახებ, მოსამართლემ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობა. ასევე, საქმეზე მოწმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეზე დაკითხეს მოწმეები, მაგრამ საჭირო გახდა დამატებით სხვა მოწმის დაკითხვაც.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 15.02.2023.

„დიახ, ზუგდიდის რაიონულმა პროკურორმა, იმის თაობაზე, რომ ექსპერტის ჩართვა მომხდარიყო ონლაინ, რადგანაც დიდთოვლობის გამო იგი ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, დაცვის მხარემ კი მიმართა მოსამართლეს, რომ არ დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა, რადგანაც იგი იმყოფებოდა ქალაქგარეთ და არ არსებობდა ის რეალობა, რაზეც პროკურორი საუბრობდა, ამიტომაც მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.“ – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 07.02.2023.

„მოპასუხემ სხვადასხვა ეტაპზე რამდენიმეჯერ ითხოვა პროცესის გადადება რიგი განსხვავებული მიზეზებით. მოსამართლე ყოველ ჯერზე ჩაეძია დასახელებული მიზნის საჭიროებაზე და განმარტა, რომ აღნიშნული საქმისთვის რელევანტურ/საპატიო გარემოებას არ წარმოადგენდა. ამრიგად, პირს არ დაუკმაყოფილდა შუამდგომლობა პროცესის გადადებასთან დაკავშირებით.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.02.2023.

„აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, მოსამართლემ ვრცელი განმარტება გააკეთა ფორმალურ და ფაქტობრივ გარემოებებზე, განიხილა თითოეული საფრთხე და საფუძველი, ხაზი გაუსვა გამოყენებული ზომის თანაზომიერებას ბრალდებასთან და სხვა სოციალურ ეკონომიკურ ფაქტორებთან. საბოლოოდ, არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ. ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების მიღებასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელნი, საქმის არსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო, ამრიგად მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 23.03.2023.

„ბრალდების მხარეს ჰქონდა შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ. მოსამართლემ ადგილზე თათბირით გამოაცხადა საოქმო განჩინება. დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 31.03.2023.

„დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით პატიმრობა შეცვლილიყო უფრო მსუბუქი ფორმით გირაოთი, თუმცა

მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან იყო წინასასამართლო სხდომა და ბრალდებულს უნდა ეცხოვრა ისევ იმ ოჯახის წევრთან, რომლის მიმართაც განხორციელდა სავარაუდო ძალადობა [...]. შესაბამისად, ბრალდებული პატიმრობაში დატოვა." – ფოთის საქალაქო სასამართლო, 02.04.2023.

„დიახ, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს პროცესის დღეს წარუდგინა შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე, განცხადებაში კი არ ჰქონდა დასახელებული ის საპატიო მიზეზი, რომლის გამოც ვერ შეძლო სხდომაზე გამოცხადება. მოსამართლე გაეცნო აღნიშნული საკითხის თაობაზე წარდგენილ განცხადებას და უარი განაცხადა სხდომის გადადების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმ მიზეზით, რომ მოპასუხე მხარე ცდილობდა საქმის გაჭიანურებას." – გორის რაიონული სასამართლო, 04.04.2023

„ბრალდებულის ადვოკატმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა გირაოთი. მოსამართლემ განმარტა ღონისძიების გადასინჯვის პირობები და მათი არარსებობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. ასევე, პროკურორს ჰქონდა შუამდგომლობა გადადებაზე, რადგან მალე სხვა პროცესი ეწყებოდა, რაც დიდი განმარტების გარეშე დააკმაყოფილა, რადგან სხვა ეტაპზე გადაზრდა მაინც შეუძლებელი იყო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.04.2023.

„საჩივრის ავტორი განმარტავდა, რომ ის ნასვამი არ მართავდა ავტომობილის, ის უბრალოდ მანქანასთან სვამდა ლუდს. საჩივრის ავტორს მოსამართლემ მისცა შენიშვნა ხმაურისთვის და არასწორი ტერმინოლოგიით საუბრისთვის. მოსამართლემ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ჰკითხა, რაიმე მტკიცებულება თუ ჰქონდათ, სადაც ჩანდა პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა. პოლიციის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ დაკითხულიყვნენ მოწმე პოლიციელები, რომლებიც დაადასტურებდნენ პირის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას. თავად სამართალდამრღვევიც დაეთანხმა შუამდგომლობას. მოსამართლემ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეზე მოწმეთა დაკითხვის შესახებ. ამის შემდეგ სხდომა გადაიდო." – გორის რაიონული სასამართლო, 30.05.2023.

„ეს იყო მოწმეთა დაკითხვა, კერძოდ იკითხებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოსა და კრიმინალური სამსახურის უფროსი გამომძიებლები, რათა მათგან მოესმინათ 2023 წლის 2 იანვარს სვანეთში მომხდარი მკვლელობისას რა სამძებრო სამუშაო იქნა მათ მიერ ჩატარებული, ხოლო შუამდგომლობა მათი დაკითხვისას იყო კითხვების ჩახსნის თაობაზე ბრალდების მხარის მიერ." – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 27.06.2023.

„მხარემ იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების უცვლელად დატოვების თაობაზე, მოსამართლემ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და გააკეთა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე კვლავ არსებობდა და ამის გამო ვერ შეცვლიდა აღკვეთის ღონისძიებას (პატიმრობა).“ – გორის რაიონული სასამართლო, 30.06.2023

„ბრალდების მხარეს ჰქონდა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე ჩატარების შესახებ. მისი განმარტებით, მხარეებს შორის მიღწეული იყო საპროცესო შეთანხმება, და ითხოვდა მის დამტკიცებას. საქმეზე იყო ორი ბრალდებული. დაცვის მხარეც ეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას. მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 05.07.2023.

2.7. მოსამართლის რეაგირება მხარის/წარმომადგენლის პოზიციაზე

პირის უფლება სამართლიან მართლმსაჯულებაზე მოიცავს სამართალწარმოებაში ეფექტიანი მონაწილეობის უფლებას, რაც გულისხმობს ყველა იმ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას, რასაც კანონი სასამართლოში მხარეს ანიჭებს საკუთარი ინტერესების დასაცავად. ეს სამართლებრივი მექანიზმები ითვალისწინებს, როგორც საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებასა და სასამართლოს წინაშე წარდგენას, ისე მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების და არგუმენტაციის გაბათილებას. მხარეს უფლება აქვს, პროტესტი გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის განცხადებებსა თუ ქმედებებთან დაკავშირებით, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადებით/ქმედებით ზიანი მიადგება მის ინტერესებს. მხარეს ასევე უფლება აქვს, გამოთქვას განსხვავებული აზრი მოსამართლის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე/ქმედებაზე და არ დაეთანხმოს მას. მოსამართლე კი ვალდებულია, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად არ შეზღუდოს მხარის მიერ ამ სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა, რათა საბოლოოდ ზიანი არ მიადგეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამასთანავე, ასეთ დროს მნიშვნელოვანია, მოსამართლე უზრუნველყოფდეს სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას და პროცესის მშვიდობიან გარემოში წარმართვას.

კითხვა: რა საკითხებს არ ეთანხმებოდა ადვოკატი/მხარე მოსამართლის წინაშე და როგორ რეაგირებდა მოსამართლე?

☑ დამკვირვებლების შეფასებები

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოსამართლეს მითითებაზე, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ ეხელმძღვანელათ განმცხადებლის (მოსარჩელის) მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილ განცხადებაში მითითებული დოკუმენტით, მაშინ როდესაც აღნიშნული დოკუმენტი დაცულია საჯარო რეესტრში და მისი მოძიება/გამოყენება საჯარო რეესტრის საქმის წარმოებაში მიღებული წესი და პრაქტიკაა. მოსამართლეს რეაგირება არ ჰქონდა მოცემულ საკითხზე მხარის მიერ არდათანხმებაზე." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 19.10.2022.

„მოსარჩელე ითხოვდა დაუყოვნებლივ აღსრულებას მტკიცებულებების საფუძველზე, რადგან მოპასუხესთან ვერ მოხდა ვერანაირი შეთანხმება. ამის მიზეზი კი მოპასუხის მხრიდან იგნორირება გახლდათ. როცა შუამდგომლობა წარადგინა მოსარჩელემ, ამ მომენტიდან მოსამართლე უხეშად და აგრესიულად განეწყო მის მიმართ." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ შრომითი დავა იყო, ხოლო მოპასუხე ამტკიცებდა, რომ ეს იყო სანარდო (მომსახურების შესახებ) დავა. მოსამართლეს პოზიცია არ დაუფიქსირებია." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022

„პროკურორის მხრიდან რამდენჯერმე მოხდა ბრალდებულის ადვოკატის მიერ დასმული კითხვის გაპროტესტება, რაზეც მოსამართლე დათანხმდა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 26.10.2022.

„ადვოკატიც და მხარეებიც ყველა საკითხზე ეთანხმებოდნენ მოსამართლეს და მოსამართლეც ყველა მათ წინადადებას უსმენდა და ეთანხმებოდა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.10.2022.

„როგორც შევამჩნიე, მოსამართლეს ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა სარჩელის არგანხილვა მისი შინაარსიდან გამომდინარე, უბრალოდ გაითვალისწინა მოსარჩელის თხოვნა და ნაცვლად სარჩელის განუხილველად დატოვებისა, გადაუგზავნა ადმინისტრაციულ კოლეგიას." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 15.11.2022.

„ადვოკატი არ ეთანხმებოდა პროკურორის მიერ დასმული კითხვების ფორმულირებას, მოსამართლემ რამდენიმე შემთხვევაში პროკურორს მიმართა კითხვის დაზუსტების თხოვნით." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 01.12.2022.

„მოპასუხე მხარე არ ეთანხმებოდა მოსამართლის მიერ მიცემულ შენიშვნებსა და შესწორებებს იმ დარღვევების თაობაზე, რაც არსებობდა მტკიცებულებებთან დაკავშირებით. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მოსამართლესა და მოპასუხე მხარეს შორის წარმოიქმნა გარკვეული გაუგებრობა და ცხარე კამათი. მოსამართლე ცდილობდა, რომ შეძლებისდაგვარად აეხსნა მხარისთვის, თუ როგორ უნდა წარმოედგინა სწორად და თანმიმდევრულად აღნიშნული მტკიცებულება." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.12.2022.

„მოსამართლეს რამდენჯერმე მოუწია კონკრეტული საკითხის განმარტება ადვოკატისთვის, ბოლო განმარტების დროს ტონი შეეცვალა და ოდნავ გაღიზიანდა." – გორის რაიონული სასამართლო, 20.12.2022.

„ადვოკატს პროტესტი ჰქონდა რამდენიმეჯერ მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასმულ შეკითხვებზე იმ მოტივით, რომ ეს შეკითხვები საქმეს არ ეხებოდა და მოსამართლე ეთანხმებოდა ადვოკატს." – გორის რაიონული სასამართლო, 22.03.2023.

„პროკურორის ბრალდებას არ ეთანხმებოდა, რადგან ბრალდებული არ ცნობდა თავს დამნაშავედ. მოსამართლეს ნეიტრალური პოზიცია ეკავა." – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 05.04.2023.

„მოპასუხე მხარეს არ სურდა ის თარიღი, რომელშიც შემდგომში უნდა ჩაენიშნათ სხდომა, მას სურდა ივლისის ბოლოს ჩანიშნულიყო პროცესი, მაგრამ მოსამართლემ უარი უთხრა, რადგან სურდა, სანამ ყველა დეტალი კარგად ახსოვდა, მანამ მოესმინა შემდეგი პროცესი და ასევე თქვა, უმჯობესი იყო არ გაეწელათ დრო, ამის გამო შემდეგი სხდომა ჩანიშნა 12 ივნისს." – გორის რაიონული სასამართლო, 29.05.2023.

„პროტესტი რამდენჯერმე გამოითქვა ბრალდების მხარის მხრიდან და უმეტეს შემთხვევაში დააკმაყოფილა მოსამართლემ." – გორის რაიონული სასამართლო, 19.06.2023.

2.8. მოსამართლის მომზადებულობა და საქმის გარემოებების ცოდნა

მოსამართლეთა გადატვირთულობა და სხვა ფაქტორები პირდაპირ გავლენას ახდენს საქმის განხილვის ხარისხზე. ასეთ პირობებში შესაძლოა, რთული იყოს თითოეული საქმის გარემოებების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესწავლა/დამახსოვრება, რაც ზრდის რისკს, რომ მოსამართლე სათანადოდ ვერ ფლობდეს ინფორმაციას განსახილველი საქმის დეტალებზე და არ იყოს სხდომისთვის სათანადოდ მომზადებული.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა დამკვირვებლებზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებს სათანადოდ არცოდნის გამო, დატოვეს შთაბეჭდილება, რომ სხდომისთვის მოუმზადებლები იყვნენ – კერძოდ, 18 შემთხვევაში, დამკვირვებელთა შეფასებით, მოსამართლე არ იყო საქმის განხილვისთვის მომზადებული.

კითხვა: დაგრჩათ თუ არა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო?

დიაგრამა #19: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დიაგრამა #20: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„[მოსამართლეს] არ ახსოვდა საქმის მასალები და ცხადი იყო, რომ მას პროცესამდე არ გადაუხედავს საქმის მასალებისათვის. ეს კი მაშინ გამოიკვეთა, როცა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს მოუწია საქმის მასალების შეხსენება.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„[...] ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ საქმის გარემოებები სათანადოდ არ იცოდა [მოსამართლემ]. როგორც საქმეს სჭირდებოდა სამართლებრივი ჭრილში განხილვა, თუნდაც რა ეტაპი იყო, არ უხსენებია. ასევე, როგორც პროცესიდან გაირკვა, მეორედ შეიქმნა თარჯიმნის პრობლემა, რის გამოც შესვენება გამოაცხადეს დაგვიანებული პროცესის დაწყებიდან მალევე, ასევე უშედეგოდ.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.10.2022.

„მგონია, რომ გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით მოსამართლე შეიძლებოდა მეტად ინფორმირებული ყოფილიყო.“ – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 25.10.2022.

„საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა საქმის გადახედვას. როცა მოსამართლე მომზადებული არის, მსგავსი შემთხვევა არ უნდა ხდებოდეს.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 14.12.2022.

„[მოსამართლეს] ზუსტად არ ახსოვდა წინა სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობები, რის გამოც მიმდინარე სხდომაზე გამოაცხადა ტექნიკური შესვენება, გავიდა დარბაზიდან და მოუსმინა წინა სხდომის ჩანაწერს. ასევე მუდმივად იყურებოდა საქმის მასალებში და ეძებდა წარდგენილ დოკუმენტებს/საქმის მასალებს. ყველა საქმე მნიშვნელოვანია, მაგრამ მოსამართლე როცა ადამიანის, მით უფრო ჟურნალისტის, მისი სამოქალაქო პოზიციების გამო სამსახურიდან შესაძლო უკანონო გათავისუფლების საქმეს განიხილავს, ცოტა მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს და მინიმუმ საქმე ზედმიწევნით კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი და იყოს დამაჯერებელი.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 11.11.2022.

„პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე იხედებოდა საქმის მასალებში სისტემატურად, უმნიშვნელო საკითხებზე, თუმცა საერთო წარმოდგენა ჰქონდა საქმეზე.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.11.2022.

„მოსამართლეს გაუჭირდა გახსენება წინა სხდომის დეტალების, ასევე დაბნეული ჩანდა და საბოლოოდ ტოვებდა მოუმზადებლის შთაბეჭდილებას.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.12.2022.

„მოსამართლემ, მოსარჩელეს ჰკითხა, წარმოდგენილი ჰქონდათ თუ არა კონკრეტული მტკიცებულება, რაზედაც მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ ეს მტკიცებულება სარჩელში იყო წარმოდგენილი.“ – გორის რაიონული სასამართლო, 23.01.2023.

„მოსამართლემ იცოდა საქმის მასალები, თუმცა დეტალური ცოდნა არ გამოუმჟღავნებია.“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 24.10.2022.

» <u>შემთხვევები, როდესაც, დამკვირვებელთა შეფასებით, მოსამართლე კარგად იცნობდა საქმის დეტალებს:</u>

„იგი ძალიან კარგად იყო მომზადებული, რადგანაც დეტალების მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.10.2022.

„[...] გამართული საუბარი მოსამართლის საკმაოდ მაღალ ცნობიერებას გამოხატავდა საქმესთან დაკავშირებით. ამას მოწმობდა მის მიერ ნახსენები განხილული პროცესებიც.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 17.11.2022.

„ძირითადად არ ყოფილა მოუმზადებელი, მაგრამ რადგან პროცესი მოითხოვდა სპეციფიკურ ცოდნას, როგორიც არის თევზაობის წესები და მასთან დაკავშირებული საკითხები, ვფიქრობ, მოსამართლე ძირითადად ეყრდნობოდა გარემოსდაცვითი სამსახურის მიერ წარმოდგენილ განმარტებებს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 06.12.2022.

„დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო. საქმის არსებით, ძირითად დეტალებს იცნობდა, თუმცა მოსამართლე დისკუსიაში მონაწილეობას თითქმის საერთოდ არ იღებდა, მხოლოდ უსმენდა წარმომადგენელი ადვოკატების მსჯელობებს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.01.2023.

„ეს იყო საქმის მოსამზადებელი ეტაპი. როგორც უკვე აღვნიშნე, მოსამართლემ პროცესზე დააზუსტა დეტალები, თუმცა თავად საქმის არსი მხარეებისგან მოისმინა. ამიტომ ცოტა მიჭირს გამორკვევა, იყო თუ არა მოსამართლე პროცესამდე კარგად მომზადებული. თითქოს დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პირველად ყველაფერი პროცესზე მოისმინა, მაგრამ ამავდროულად მგონია, რომ მანამდეც მომზადებული იყო. ამიტომ გადაჭრით კი ან არას ვერ ვიტყვი...“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 09.02.2023.

„მოსამართლემ, ჩანდა, კარგად იცოდა საქმის მასალები.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 17.02.2023

„ადვოკატი მუდამ ახსენებდა, რომ მოსამართლემ „რაღაც არ იცოდა, რადგან ეს საქმე ძალიან ძველია და ის ახალი დანიშნულია“. საბოლოო ჯამში, ვიტყოდი, რომ მოსამართლე მომზადებული იყო, თუმცა მცირე ეჭვს მაინც ტოვებდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 07.03.2023

„ეს პირველი სხდომა არ იყო, შესაბამისად, მოსამართლე კარგად იყო გარკვეული საქმის დეტალებში...“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 31.03.2023

„მოსამართლე იყო საკმაოდ მომზადებული.“ – სიღნაღის რაიონული სასამართლო, 13.04.2023.

„ვფიქრობ, რომ არა, თუმცა დარწმუნებით მაინც ვერ ვიტყვი. საქმე ის არის, რომ ეს პირველი სხდომა იყო და, ასე თუ ისე, ბევრი გაურკვეველი საკითხი ჰქონდა მოსამართლეს [...]“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 19.04.2023.

„მოსამართლე არ იყო კარგად გარკვეული საქმის დეტალებში, სწორედ ამიტომ სვამდა ბევრ შეკითხვებს.“ – მარნეულის მაგისტრატი სასამართლო, 21.04.2023.

„მოსამართლის მოუმზადებლობაზე არცერთი ფაქტი არ მიუთითებდა, პირიქით, ვფიქრობ, კარგად იცნობდა საქმის მასალებს, რადგან პროცესის დასაწყისშივე გააკეთა რამდენიმე განმარტება წინა სხდომიდან გამომდინარე.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 15.05.2023.

„კარგად იცნობდა საქმეს, რადგან მოსამზადებელი სხდომის პროცესი ადრეც იყო გამართული და გადადებული.“ – გორის რაიონული სასამართლო, 24.05.2023.

„ძალიან ღრმა დეტალებს არ იცნობდა, მაგალითად ვინ ვის კრა ხელი და ა.შ.“ – გორის რაიონული სასამართლო, 29.05.2023.

„ცოტა კი, იქ კი გულდასმით უსმენდა, მაგრამ ზოგიერთი ისეთი კითხვა დაუსვა, საქმე რომ კარგად წაეკითხა და სცოდნოდა, ის კითხვები აღარ გაუჩნდებოდა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 08.06.2023.

„მოსამართლე მოუმზადებელი არ ყოფილა.“ – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 12.06.2023.

„ზოგ რამეს იქ არკვევდა პროცესზე, რაც, ჩემი აზრით, შეიძლებოდა სარჩელის კარგად წაკითხვის შემდეგ სცოდნოდა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 14.06.2023.

„დიახ, თითქოს მოსამართლე იმ მომენტში პირველად ეცნობოდა საქმის დეტალებს. ამავე კვირაში, წინა სასამართლო პროცესზე, ეს არ შემინიშნავს, მაგრამ ახლა ასეთი გრძნობა დამრჩა. თუმცა ეს შეიძლება იმით იყო გამოწვეული, რომ ძალიან ბევრ დამაზუსტებელ კითხვას უსვამდა მხარეებს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 19.06.2023.

„თითქმის ყველა დეტალი მოსამართლემ ზეპირად იცოდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.06.2023.

2.9. მოსამართლის ეთიკურობა

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ თანახმად, „მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე.“ სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად კი, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლოს შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისთვის შეუფერებლად. მოსამართლის პირადი, საზოგადოებრივი და პროფესიული ქცევა კარგად ინფორმირებული, ობიექტური, კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ უნდა აღიქმებოდეს ღირსეულ, უმწიკვლო ქცევად.

შესაბამისად, სასამართლო სხდომების მონიტორინგისას დაკვირვების ერთ-ერთი საგანი იყო ის, თუ რამდენად იცავდნენ მოსამართლეები ეთიკის სტანდარტებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

დამკვირვებლების შეფასებით, იმ სასამართლო სხდომებზე, რომლებსაც ისინი მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდნენ, მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, ეთიკის სტანდარტებს იცავდნენ, თუმცა, 23 სხდომაზე გამოვლინდა მოსამართლის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა, კერძოდ – უხეში ან აგრესიული მიმართვის შემთხვევები:

რუსთავის საქალაქო სასამართლოში 284 სხდომიდან, რომელზედაც მონიტორინგი განხორციელდა, 9-ზე ჰქონდა მოსამართლის არაეთიკურობას ადგილი, ბათუმის საქალაქო სასამართლოში 60 სხდომიდან – 4-ზე, გორის რაიონულ სასამართლოში 303 სხდომიდან – 4-ზე; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 63-იდან – 2-ზე; ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 100 სხდომიდან, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 15 სხდომიდან, ხაშურის რაიონულ სასამართლოში 204 სხდომიდან და მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში 2 სხდომიდან თითოზე ჰქონდა ადგილი.

კითხვა: მიმართა თუ არა მოსამართლემ რომელიმე მხარეს უხეშად ან აგრესიულად?
დიაგრამა #21: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დიაგრამა #22: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„მოსამართლემ გამოავლინა უხეში დამოკიდებულება წარმომადგენლის მიმართ, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ მოსარჩელე მხარის ქმედებები არ შეესაბამებოდა მოსამართლის მოთხოვნებს, რის გამოც ხდებოდა საქმის გაჭიანურება." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.11.2022.

„[...] მოსამართლის თავდაპირველი ტონი საკმაოდ მკაცრი იყო. ამის მიზეზი შესაძლოა პროცესზე [მხარის] დაგვიანება ყოფილიყო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 12.12.2022.

„უხეშად არა, მაგრამ უცნაური იყო მოსამართლისგან ფრაზა ,,თავის დროზე გეფიქრათ." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 13.12.2022.

„მოსამართლემ იგივე [ადრე განხილული საქმის] მხარეები რომ დაინახა სხდომაზე, მისი მხრიდან აგრესიას ჰქონდა ადგილი." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 14.12.2022.

„მოპასუხე მხარე, რასაკვირველია, ითხოვდა აქტის ბათილად არცნობას, მათი არგუმენტი კი იყო ის, რომ რეალურად მოპასუხეები სხვები უნდა ყოფილიყვნენ და არა მერია. ***მოსამართლე ამაზე გაცხარდა და ვფიქრობ, ცოტათი უხეშად გამოუვიდა*** *[...]"* – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 16.12.2022.

„მოსამართლეს არცერთი მხარისთვის უხეშად ან აგრესიულად არ მიუმართავს." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.12.2022.

„მოსამართლემ ბრალდებულის ადვოკატს მიმართა უხეშად და მიუთითა, რომ მხოლოდ საქმის ირგვლივ ესაუბრა და არ გაეწელა მისი სიტყვა ძალიან ისეთ თემაზე საუბრით, რომელიც საქმეს არ უკავშირდებოდა." – გორის რაიონული სასამართლო, 23.12.2022.

„მოსამართლეს მხარისთვის უხეშად არ მიუმართავს." – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 23.01.2023.

„უხეშად არა, ეს მოსამართლე ყოველთვის მკაცრია მაგრამ არა უხეში, ჩემი გადმოსახედიდან." – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 25.01.2023.

„მოსამართლემ შუამდგომლობების წარდგენისას შემაღლებული, დამტუქსავი ტონით გააკეთა განმარტებები. ამან ერთ-ერთი მხარის აშკარა უკმაყოფილებაც გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ეს ტონი მოსამართლეს სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც ჰქონდა, თუმცა ეს არ წარმოადგენს მხარის მიმართ ქცევის გამართლებას." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 10.01.2023.

„მოსამართლე, მიუხედავად მხარეებს შორის კამათისა, ადეკვატურად იქცეოდა. არანაირი უხეშობა არ ყოფილა მისგან მხარეების მიმართ.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 11.01.2023.

„მოსამართლეს მხარისთვის არ მიუმართავს უხეშად, თუმცა შემოსვლისთანავე შენიშვნებით და შემაღლებული ტონით მიმართა სხდომის მდივანს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 13.02.2023

„მცირე გაურკვევლობა მოხდა, პოლიციის დეპარტამენტმა ოქმი არასწორად შეადგინა, რაზეც მოსამართლეს ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა, მან პოლიციის თანამშრომელს უხეშად მიმართა, რომ ასეთი შეცდომის დაშვების უფლება მათ არ ჰქონდათ, დეტალებს უფრო ზუსტად ვერ ვიხსენებ, თუმცა ის ნამდვილად მახსოვს, რომ ჩემი, როგორც მესამე პირის გადმოსახედიდან ასეთი მიმართვა არასწორი ჩანდა... ასევე აშკარა იყო ცინიკური დამოკიდებულება ბრალდებულის მიმართ, მან სასჯელის შესახებ ინფორმაცია ზუსტად ვერ გაიგო, ამიტომ მოსამართლეს ჰკითხა ვინ დაუწესებდა – სასჯელს პოლიციის თანამშრომლები თუ სასამართლო, მოსამართლემ კი დამცინავი ტონით უპასუხა, თუ გინდა შეგიძლია თავად გამოუტანო განაჩენი საკუთარ თავს, უკეთესი იქნებოდა სასჯელზე მაშინ გეფიქრა, როცა ნასვამი ჯდებოდი საჭესთანო. მოკლედ რომ ვთქვა, მოსამართლის დამოკიდებულება არასწორად მომეჩვენა ორივე მხარის მიმართ.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.03.2023.

„მოსამართლემ, მხოლოდ მოწმეს მისცა შენიშვნა, როდესაც [ამ უკანასკნელმა] სასამართლო ეთიკის ფარგლებს გარეთ ბრალდებულს შეურაცხყოფა მიაყენა.“ – ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 23.03.2023.

„მოსამართლე ცოტა აგრესიულად საუბრობდა, მიზეზი კი ის იყო, რომ მხარე, რომელიც არ გამოცხადდა, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, მათი უპასუხისმგებლობის გამო კიდევ 4 პროცესის გადადება მოუხდა, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელთან (რომლის წარმომადგენლობის შესახებ მოსამართლეს ინფორმაცია არ ჰქონდა) საუბრისას მან აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამოა პროცესები თვეებით რომ იწელება და სასამართლოს იმიჯი ილახება. ვფიქრობ, მოსამართლე სრულიად მართალია, მისი მკაცრი ტონიც მხოლოდ იმის გამო იყო, რომ სასამართლოსა და დაინტერესებული მხარის ინტერესებს იცავდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.03.2023.

„მოსამართლის მხრიდან უხეშობას ადგილი არ ჰქონია, იგი საკმაოდ თავაზიანი იყო მთელი პროცესის განმავლობაში.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 04.04.2023.

„მოსარჩელე მხარეს [მიმართა], მხოლოდ მას შემდეგ რაც მოსარჩელე მხარემ უხეში გამონათქვამებით დაიწყო საუბარი მოპასუხე მხარის მისამართით და აღელდა.“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 06.04.2023.

„იმის შემდეგ, რაც ბრალდებულმა გააპროტესტა პროცესის ვადები, მოსამართლემ რამდენიმეჯერ, შემაღლებული ტონით უთხრა „ახლა დაწყნარდი“. მხარემ დაიწყო ყვირილი და დარბაზში წესრიგის დარღვევა, რის შემდეგაც მოსამართლისგანაც უხეში დამოკიდებულება და ყვირილი მიიღო. სიტუაციის განმუხტვის მიზნით მოსამართლემ ბრალდებული დარბაზიდან გააძევა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.04.2023.

„უხეშად და აგრესიულად არა, მაგრამ იგრძნობოდა, თითქოს ტუქსავდა მას, თუმცა ზრდილობიანად და მშვიდად ესაუბრებოდა, ბრალდებული ფეხზე წამოდგა და ისე აპირებდა საუბარს, თუმცა მოსამართლემ უთხრა, რომ დაბრძანებულიყო და ისე ესაუბრა, რადგან იქ ყველანი თანასწორები იყვნენ, თუ ერთი ზის, ყველა ზის და თუ ერთი დგება, ყველა დგებაო.“ – გორის რაიონული სასამართლო. 29.05.2023.

„მერიას (მოპასუხეს) მიმართა, რომ ჯობდა საქმეზე უკეთ მომზადებული მისულიყო, თუ მზად არ იყო რატომ დაეთანხმა და საქმე მთავარ სხდომაში გადაზარდა. ასევე, მორიგებაზე უარის თქმის დროს მერიისგან, მერიის წარმომადგენელს უთხრა, რომ წინაზეც ასე მოიქცნენ და შემდეგ კი ინანეს.“ – გორის რაიონული სასამართლო, 08.06.2023.

„პირიქით მოსამართლე გაწონასწორებულად იქცეოდა მიუხედავად იმისა რომ დაკითხვის დროს ადვოკატი ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა მოწმეზე.“ – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 04.07.2023.

2.10. მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა

მხარეთა თანასწორობა სამართალწარმოების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, მოსამართლე ვალდებულია, უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ თანახმად, „თავისი სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას მოსამართლემ არც სიტყვით, არც ქცევით არ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მიკერძოება ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რომლის მიზეზებიც საქმის გარემოებებს არ ეხება“.

თანასწორობის პრინციპი პროცედურული სამართლიანობის განუყოფელი ნაწილია და უმთავრესად გულისხმობს მხარეთა ერთნაირ პირობებში ჩაყენებას და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას. შესაბამისად, მოსამართლის მიერ თანასწორობის პრინციპის დაცვის საკითხი სასამართლო სხდომების მონიტორინგის ფარგლებში ერთ-ერთი ძირითადი დაკვირვების ობიექტია.

საგულისხმოა, რომ იმის შეფასება, წარიმართა თუ არა პროცესი მხარეთა თანასწორობის პირობებში და ჰქონდათ თუ არა მათ თანაბარი შესაძლებლობა თავიანთი პოზიციის წარმოსადგენად და საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოხალისე დამკვირვებლებს შეეძლოთ მხოლოდ იმ სასამართლო სხდომებზე, რომლებსაც ორივე მხარე ესწრებოდა. მონიტორინგის პროცესში იყო არაერთი სასამართლო სხდომა, რომელიც მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით წარიმართა.

დამკვირვებლების შეფასებით, იმ სასამართლო სხდომებიდან, რომლებსაც ორივე მხარე ან მათი წარმომადგენლები ესწრებოდნენ, 33 სხდომაზე პროცესი მხარეებისთვის თანაბარ პირობებში არ მიმდინარეობდა და მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები არ მისცემიათ საკუთარი ინტერესების დასაცავად. ხოლო, 20 სხდომასთან დაკავშირებით, ზემოხსენებული მიზეზების გამო, დამკვირვებლებს ზუსტი პასუხი არ აქვთ.

კითხვა: შესთავაზა თუ არა მოსამართლემ თანაბრად ორივე მხარეს, წარმოედგინათ თავიანთი საქმე და თანასწორად მოეპყრო თუ არა ის მათ?

დიაგრამა #23: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დიაგრამა #24 : რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



2.11. სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) სიცხადე

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია მართლმსაჯულების სამართლიანობის შეფასებისას. სათანადოდ დასაბუთებული – უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე და მათ ყოველმხრივ ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილება განამტკიცებს მართლმსაჯულებისადმი ნდობას საზოგადოებაში. სასამართლოს გადაწყვეტილება იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ არ ტოვებდეს კითხვებს, როგორც გადაწყვეტილების სამართლიანობასთან, ისე მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისას სხდომის დარბაზში გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, თითქოს მოსამართლე გადაწყვეტილების გამოცხადებისას სრულიად თავისუფალია თავისი გადაწყვეტილების განმარტების ვალდებულებისგან. საჭიროა, მოსამართლემ ნათლად და გასაგებად განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლოს სხდომათა მონიტორინგის შედეგების ანალიზით დგინდება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სიცხადე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და ხშირად სხდომაზე დამსწრე პირებისთვის სრულიად ბუნდოვანი რჩება, თუ რა დაედო საფუძვლად მოსამართლის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. იმ სასამართლო პროცესებიდან, რომლებსაც პროექტის ფარგლებში აკვირდებოდნენ მოხალისე დამკვირვებლები, ჯამში 528 სხდომა დასრულდა გადაწყვეტილების/განაჩენის გამოცხადებით და მათგან 105 სხდომაზე დამკვირვებლებისთვის გაუგებარი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება, რაც გადაწყვეტილების გამოცხადებით დასრულებული სხდომების თითქმის 20%-ს შეადგენს.

კითხვა: თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, გასაგები იყო თუ არა თქვენთვის გადაწყვეტილების (განაჩენის) დასაბუთება?

დიაგრამა #25: საერთო რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი



დიაგრამა #26: რაოდენობრივი მაჩვენებელი სასამართლოების მიხედვით



☑ დამკვირვებლების შეფასებები

„მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე, მაგრამ განმარტება არ გაუკეთებია და ძალიან მოკლედ გადმოსცა მიღებული გადაწყვეტილება. ამიტომაც ჩემთვის საკმაოდ ბუნდოვანი იყო გადაწყვეტილების შინაარსი.“ – გორის რაიონული სასამართლო, 26.12.2022.

„დასაბუთება ჩემთვის არ იყო ლოგიკური, რადგანაც თუ ადმინისტრაციული შინაარსის სარჩელი იყო, თავიდანვე უნდა ეთქვა უარი განხილვაზე ან გადაეგზავნა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და არ უნდა გაეფლანგა ყველაზე ძვირფასი - დრო, დაახლოებით 1 წელი.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 15.11.2022.

„მოსამართლემ განმარტა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 10.01.2023.

„საქმე ეხებოდა დედის მხრიდან არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილ სიტყვიერ და ფიზიკურ ძალადობას. მოსამართლემ იგი დამნაშავედ ცნო. სასჯელს რაც შეეხება, მან 1 წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა პირობითით შეუცვალა. აუხსნა ბრალდებულს, თუ რას მოიაზრებს ეს სასჯელი და როგორ უნდა მოიხადოს ის. აგრეთვე უპასუხა მის მიერ დასმულ შეკითხვებს ამ თემასთან დაკავშირებით.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 21.10.2022.

„მოსამართლემ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებული მხარისათვის პირველი არამართლზომიერი ქმედება იყო, გაფრთხილება მისცა და არ დააჯარიმა. გადაწყვეტილებაზე მოსამართლემ ძალიან მოკლე (ლაკონიური) განმარტება გააკეთა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 07.11.2022.

„მოსამართლის გადაწყვეტილება გასაგები იყო, იმისთვის, რომ კითხვები არავის გასჩენოდა, მან ახსნა-განმარტებები გააკეთა იმის შესახებ, თუ რატომ მიიღო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 26.10.2022.

„მოსამართლემ გასაგებად განმარტა საბოლოო გადაწყვეტილება და გასაგებად დაასაბუთა თითოეული მხარისათვის, რომ რაიმე კითხვა ან გაურკვევლობა არ დარჩენილიყო.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.10.2022.

„მოსამართლემ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განმარტა და დაასაბუთა ისე, რომ კითხვები არავის გასჩენია.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 31.10.2022.

„სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებით. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება გასაგები იყო ჩემთვის, რადგან მან დეტალურად ახსნა თითოეული დეტალი, თუ რატომ გამოიტანა ეს გადაწყვეტილება.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 24.11.2022.

„[...] საბოლოოდ, მოსამართლემ სხდომის დარბაზშივე იმსჯელა სასჯელზე და ბრალდებულის სასჯელის ზომად და სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო შეიცვალა პირობითი მსჯავრით 2 წლის ვადით. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მან გაითვალისწინა ბრალდებულის ეფექტური თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან, მისი გულწრფელი სინანული, ოჯახის წევრების განმარტება, რომ ისინი წუხან მომხდარზე და მას ახასიათებენ დადებითად, მათ შორის ის გარემოება, რომ დაზარალებული პატიმრობის პერიოდში აკითხავდა და უზრუნველყოფდა მის ყველა საჭიროებას.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.12.2022.

„მოსამართლემ განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი.“ – გორის რაიონული სასამართლო, 07.02.2023

„სასამართლო სხდომა დამთავრდა საბოლოო გადაწყვეტილებით და გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის გასაგები იყო.“ – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 13.02.2023.

„მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის პოზიცია და განაჩენის დასაბუთება, პირველ რიგში, გასაგები იყო, როგორც მოპასუხე მხარისთვის, ისე ჩემთვისაც.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.02.2023.

„მოსამართლემ ყველასთვის გასაგებად ახსნა და განმარტა მიღებული გადაწყვეტილება.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.02.2023

„იქიდან გამომდინარე, რომ პირმა აღიარა საკუთარი დანაშაული და ადასტურებდა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მოსამართლემ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილიც ადგილზე გამოაცხადა და მოკლედ გააცნო გადაწყვეტილების შინაარსი და ასევე განუმარტა მისი უფლებებიც.“ – გორის რაიონული სასამართლო, 15.03.2023.

„მოსამართლემ განმარტა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც საჩივრის ავტორის წარმომადგენლის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა...“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 22.03.2023.

„სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილებით, განაჩენის დასაბუთება ჩემთვის გასაგები იყო...“ – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 27.03.2023.

„მოსამართლემ საბოლოოდ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა. დრო გაუზარდა, რათა სესხი დაეფარა, თუმცა არც იმდენად, რომ ამით მოსარჩელე დაზარალებულიყო. ვფიქრობ, გასაგებად დაასაბუთა გადაწყვეტილება.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 29.03.2023.

„გადაწყვეტილება სრულიად გასაგები იყო, მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარეების მოთხოვნა შუამდგომლობაზე, რომელიც საპროცესო შეთანხმებას ეხებოდა, ასევე გასაგები იყო მოსამართლის არგუმენტები, რომლებიც ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 04.04.2023.

„მოსამართლემ განმარტა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, ბრალდებული გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან და დაუჩესდა პირობითი მსჯავრი.“ – ხაშურის რაიონული სასამართლო, 06.04.2023.

„მოსამართლემ გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი. საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება, მხარეთა შორის მიღწეული იქნა შეთანხმება. გაფორმდა მორიგების აქტი. განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში, რადგან მხარეები არ ასაჩივრებდნენ მას." – გორის რაიონული სასამართლო, 11.04.2023.

„მოსამართლემ ადგილზე თათბირით დაადგინა: დააკმაყოფილა პრობაციის ეროვნული ბიუროს წარდგინება პრობაციონერისთვის გამოსაცდელი ვადის 3 თვით გაგრძელებასთან დაკავშირებით, წაიკითხა სარეზოლუციო ნაწილი." – სიღნაღის რაიონული სასამართლო, 18.04.2023.

„სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებით, რაზეც მოსამართლემ გააკეთა შესაბამისი განმარტება." – სიღნაღის რაიონული სასამართლო, 27.04.2023.

„სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილებით, განაჩენის დასაბუთება ჩემთვის გასაგები იყო..." – კასპის მაგისტრატი სასამართლო, 01.05.2023.

„მოსამართლემ აქტის ბათილად ცნობა გადაწყვიტა. ორივე მხარეს გააცნო გადაწყვეტილების საფუძველი, გასაჩივრების წესი და ვადები. ასევე, დააზუსტა მხარეებთან, ჰქონდათ თუ არა მათ კითხვები." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 15.05.2023.

„ჩემთვის საკმაოდ გასაგები იყო, პროცესზევე გავერკვიე საქმის არსში და მეორე მხარეც და მოსამართლეც დეტალურად ხსნიდა ყველაფერს. უბრალოდ, მოსამართლე ძალიან დაბალი [ხმით] და სწრაფი ტემპით საუბრობდა. დაძაბული ვუსმენდი." – გორის რაიონული სასამართლო, 16.05.2023.

<u>შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად გასაგები არ ყოფილა:</u>

„ნაწილობრივ. მოსამართლეს ჰქონდა ადეკვატური დასაბუთება დაკმაყოფილებული საჩივრის ნაწილში, თუმცა მან დაუყოვნებლივ აღსრულების ნაწილში მოიშველია უზენაესის გადაწყვეტილება და უარი განაცხადა აღნიშნულზე. ეს საკმაოდ არაპოპულარული გადაწყვეტილებაა და მხოლოდ საჭიროებდა დასაბუთებას, ნაცვლად "უზენაესის გადაწყვეტილების გამო" ფრაზისა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.04.2023.

„თავისუფლების აღკვეთა [მიუსაჯა] 1 წლით და 6 თვით. ვერ გავიგე რატომ." – გორის რაიონული სასამართლო, 19.06.2023.

2.12 მოქალაქეთა შეფასებები პროცესის სამართლიანობის შესახებ

მოქალაქეთა მიერ სასამართლოს მონიტორინგის მთავარი მიზანია, მოიპოვოს სანდო და სიღრმისეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა გამოცდილებისა და პროფესიის ადამიანები საქართველოს სასამართლოებში განხორციელებულ ყოველდღიურ მართლმსაჯულებას. შესაბამისად, სასამართლოს მონიტორინგი ეფუძნება დამკვირვებელთა აღქმებს სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე. ქვემოთ წარმოდგენილი დამკვირვებელთა შეფასებები აღწერს, როგორ აღიქვამენ ისინი ჩატარებულ სასამართლო პროცესებს და რამდენად დარჩათ შთაბეჭდილება, რომ სხდომა სამართლიანად მიმდინარეობდა.

კითხვა: თქვენი შეფასებით, მთლიანობაში, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი? როგორი განცდა დაგრჩათ და რატომ?

☑ **დამკვირვებლების შეფასებები**

„მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ დაიგვიანა, შემიძლია ვთქვა, რომ იგი მომზადებული იყო სასამართლო პროცესისთვის, საქმე მიჰყავდა სამართლიანად, ყველა წესის დაცვით. მხარეების მიმართ იყო ლმობიერი და ეპყრობოდა თანასწორად. დამრჩა იმის განცდა, რომ [ამ] მოსამართლის სასამართლო პროცესებზე თავს დაჩაგრულად არ იგრძნობს არცერთი მხარე, რადგან პროცესი მიჰყავს სამართლიანად ყველა ნორმის დაცვით." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 19.10.2022.

„ვფიქრობ, სასამართლო პროცესი სამართლიანად მიმდინარეობდა, მაგრამ 2015 წელს მიყენებული ზიანის 2022 წელს შესაძლო ანაზღაურება მაინც ნაკლებად სამართლიანი მგონია, რაც დროში გაწელილი და არაეფექტიანი მართლმსაჯულების შედეგია." – ბათუმის საქალაქო სასამართლო. 19.10.2022.

„მიმდინარეობდა საკმაოდ სამართლიანად. სასამართლო ორივე მხარეს ეპყრობოდა თანასწორად. ერთადერთი პრობლემა რაც შეიქმნა იყო თარჯიმნის დისტანციური დასწრება, რამაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობა შეაფერხა თარჯიმნის მხრიდან ტექნიკური ხარვეზების გამო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 19.10.2022.

„შეეძლო მოსამართლეს სასამართლო პროცესის თავისუფლად გაგრძელება, რადგან არ არსებობდა რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი, მაგრამ ამის მიუხედავად მოსამართლემ გადადო. არაადეკვატურად მივიჩნევ მოსამართლის სიუხეშეს, სიბრაზეს. ვთვლი, რომ მაქსიმალურად გაწონასწორებული, მშვიდი უნდა იყოს ის, რადგან აქვს სხვებისაგან განსხვავებით თმენის ვალდებულება. საქმის მასალებიდან გამომდინარე დამრჩა უსამართლობის შთაბეჭდილება." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„ჩემი აზრით, მოცემული პროცესი ძალიან სამართლიანად, თანაბარ პირობებში და კარგად წარიმართა. მოსამართლე მაქსიმალურად ცდილობდა, რომ მხარეებისთვის კარგად განემარტა კითხვები, გაუგებრობა რომ არ ყოფილიყო და სწორად წარმართულიყო პროცესი." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„ჩემი მოსაზრებით, სასამართლო პროცესი ნამდვილად სამართლიან, თანაბარ და თანასწორ პირობებში წარიმართა. [...] განაჩენს რაც შეეხება, მაქსიმალურად კარგად განმარტა, რომ მხარეთათვის გასაგები ყოფილიყო." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 20.10.2022.

„ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესოდ და სამართლიანად განვითარდა პროცესი. მომეწონა მოსამართლის დამოკიდებულება. ის ორივე მხარის მიმართ იყო თანაბრად განწყობილი, საკუთარ პოზიციას მთელი სხდომის მანძილზე ფარავდა, რაც ვფიქრობ მის ობიექტურობას უსვამს ხაზს და ეს კარგია. თუმცა, ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სხდომა დაგვიანებით დაიწყო, მიზეზი არავის უთქვამს, არც ის უთქვამთ, თუ რა ეტაპზეა საქმე, თუმცა როგორც გავიგე, უკვე 11 თვეა ის მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სხდომაა, მე მაინც ინფორმირებული დავრჩი და მარტივად გავერკვიე დავის მიზეზებზე, რაც ვფიქრობ, სხდომის მდივნის დამსახურებაა. საბოლოო ჯამში, ლაფსუსები დადებითმა გადაფარა და რაც მთავარია, მოსამართლემ, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 21.10.2022.

„მიმაჩნია, რომ სასამართლო პროცესი იყო სამართლიანი, თუმცა [...] არ მომეწონა ის ფაქტი, რომ ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვია სასამართლო სხდომა დაგვიანება." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 27.10.2022.

„მხარეები აღნიშნულ საქმეზე წარმოადგენდნენ ეთნიკურ უმცირესობას, ამ მიზეზის გამო ჰყავდათ თარჯიმნები. მოპასუხის ადვოკატმა პროცესის დაწყებამდე, როცა ოთახში იმყოფებოდა მხოლოდ სხდომის მდივანი, უხეშად მიმართა თარჯიმანს. აშკარა აგრესიული ტონის მიუხედავად სხდომის მდივანს კომენტარი არ გაუკეთებია და არც შენიშვნა მიუცია." – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 24.10.2022.

„საბოლოოდ, მიმდინარე პროცესი ჩატარდა სამართლიანად და ობიექტურად. ვფიქრობ ყველა წესის დაცვით. არ დამრჩენია განცდა, რომ მოსამართლე იყო მოუმზადებელი ან იყო მიკერძოებული. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს ასეც უნდა იყოს და მსგავსი პროცესები გამონაკლისს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ უნდა იყოს ნორმა, რომელიც არ უნდა გვაკვირვებდეს მოქალაქეებს, რომლებიც ვესწრებით პროცესს. რეალურად მოსახლეობის უმეტესობას წარმოდგენაც არ აქვთ, რომ მათ აქვთ უბრალოდ უფლება მივიდნენ და დაესწრონ პროცესს ყველანაირი ბიუროკრატიისა და სასამართლოში ნაცნობების გარეშე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. უკვე რამდენიმე პროცესს დავესწარი [...] თუმცა დარბაზი ისევ ცარიელი დამხვდა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 26.10.2022.

„მართალია, პროცესი არ ჩატარდა, მაგრამ სასამართლოში მიღებისას თანამშრომლები ლოიალურად იქცეოდნენ, არ ყოფილა უარყოფითი განწყობა, პირიქით, ყოველგვარად ცდილობდნენ დახმარებას.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.10.2022.

„[...] ამ პროექტის დახმარებით საზოგადოებას შანსი აქვს, აიმაღლოს ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალობაში და დღევანდელ მოცემულობაში, სად არის საქართველოში სასამართლო.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 28.10.2022.

„მოცემული პროცესი ვფიქრობ კარგად წარიმართა, მოსამართლე სამართლიანად, მიუკერძოებლად იხილავდა საქმეს. ვინაიდან პროცესზე სინქრონულად მიმდინარეობდა თარგმნაც და მოსამართლე აზუსტებდა გარემოებებს, თუ ყველაფერი გასაგები იყო, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანია პროცესის დროს.“– ბოლნისის რაიონული სასამართლო, 28.10.2022.

„ჩემი აზრით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა სამართლიანად, რადგან მოსამართლე ორივე მხარეს აძლევდა საშუალებას, რომ საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ. მაგრამ ჩემთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დაიწყო პროცესი ადრე, რაც არ მომეწონა. იმავე დარბაზში ვესწრებოდი სხდომას იმავე მხარეებს შორის და იქ რომ არ ვყოფილიყავი, ვერც გავიგებდი, რომ 13:00 საათზე დანიშნული პროცესი ჩატარდა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 31.10.2022.

„მოსამზადებელ სხდომაზე მხარის შუამდგომლობა რომ არ დააკმაყოფილა მოსამართლემ, არ მომეწონა. მთლიანობაში, ვფიქრობ, რომ პროცესი მიმდინარეობდა სამართლიანად, რადგან მოსამართლე ორივე მხარეს აძლევდა საკუთარი აზრის დაფიქსირების უფლებას და თანაბრად ეპყრობოდა.“ – გორის რაიონული სასამართლო, 07.11.2022.

„ჩემი შეფასებით და განცდით, სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა უსამართლოდ, მიკერძოებულად, მოპასუხის სასარგებლოდ. ასევე ყურში ცუდად მომხვდა მოსამართლის რეპლიკა მოპასუხის ონლაინ ჩართული წარმომადგენლის მიმართ, რომელსაც ხმაზე არაფერი ეტყობოდა ცუდად ყოფნის, როცა უთხრა მოსამართლემ, რომ „ვაიმე მართლა როგორ ცუდად ყოფილხარ, სახეზე გეტყობა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ყოჩაღ, რომ მაინც ახერხებ პროცესში ონლაინ მონაწილეობას.“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 11.11.2022.

„სასამართლო სამართლიანად და თანასწორად მიმდინარეობდა. გათვალისწინებული იყო მხარეთა შესაძლებლობები, გადმოცემის უნარი, ცოდნა. მოსამართლე გულდასმით უსმენდა მხარეებს და გულწრფელად ცდილობდა გაეგო მათი პოზიცია და ყველა რელევანტური გარემოება. არ ღიზიანდებოდა და არ ავლენდა მობეზრებას განმარტებების მოთხოვნისას. ის მოთმინებით უხსნიდა საკითხს მანამ, სანამ მხარე არ გაიგებდა, თუნდაც ამას საკითხის რამდენიმეჯერ გამეორება დასჭირვებოდა. აღსანიშნავია მოსამართლის დადებითი ატიტუდი

[დამოკიდებულება] და მხარეებისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მცდელობა. პროცესმა დატოვა სამართლიანობის შეგრძნება, რაც იმითაც დადასტურდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა, გასაჩივრებაზე უარი თქვეს." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 11.11.2022.

„მოსამართლის გადატვირთულობის გამო პროცესმა საათზე მეტით გადაიწია, ამ გარემოებების გამო მოსამართლეს გაუჭირდა გაეგო, მხარე სასამართლოში მოვიდა და შემდეგ წავიდა, თუ არც მოსულა. დაწყების დროის გადაწევის გამო ჩათვალა, შანსი უნდა მიეცა, რომ მასაც წარმოედგინა თავი. სხდომის დასაწყისში მოსამართლემ დაწვრილებით განმარტა, რატომ დაიგვიანა, რაც დასაფასებელია." – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 31.10.2022.

„უცნაურად წარიმართა სასამართლო სხდომა. როგორც აღმოჩნდა დაახლოებით 1 წლის წინ მოსამართლემ წარმოებაში მიიღო აღნიშნული სამოქალაქო სარჩელი და ახლა მიხვდა, რომ ადმინისტრაციული წესით განსახილველი ყოფილა, რისი განხილვის უფლებაც მას არ აქვს და ამიტომ უნდა გადაუგზავნოს ადმინისტრაციულ კოლეგიას. ამ ყველაფერმა ზოგადად უსამართლობის, მოსამართლის არაკომპეტენტურობის ან/და გულგრილი დამოკიდებულების შეგრძნება დამიტოვა." – *ბათუმის საქალაქო სასამართლო, 15.11.2022.*

„პირველ რიგში, მომეწონა მოსამართლის დამოკიდებულება, რომელიც ცდილობდა, ორივე მხარისთვის გაეცნო დაწვრილებით და მარტივად საქმე, მოსამართლე ორივე მხარეს უსმენდა გულდასმით და ვინაიდან შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სხდომა გადაიდო." – ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, 15.11.2022.

„ჩემი დადებითი შეფასება მოსამართლეს, რომლის პროცესს პირველად დავესწარი და დადებითად დავიმუხტე. აღნიშნულ პროცესზე იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი და 3 დაკავებული პირი, თუმცა უსაფუძვლოდ. [...] მოსამართლემ დაკავებული პირები გაათავისუფლა 2000-ლარიანი ჯარიმის გადახდისგან. პატრულმა თავისი ახირების გამო დააკავა ადამიანი, რადგან მას გრძელი თმა ჰქონდა და პირადობა არ წარუდგინა საპატრულო პოლიციას (ვინაიდან თან არ ჰქონდა)." – ბათუმის საქალაქო სასამართლო, 16.11.2022.

„ვფიქრობ, პროცესი მიმდინარეობდა სამართლიანად, თუმცა, პროცესის დაწყებამდე, სანამ უშუალოდ ბრალდებულის ადვოკატი მოვიდოდა, პროკურორი ბრალდებულს ალაპარაკებდა საქმის შესახებ. შემდეგ, როდესაც მოსამართლე შემოვიდა დარბაზში (ადვოკატი ჯერ კიდევ არ იყო მოსული), ისიც ჩაერია საუბარში. მომეჩვენა, რომ მას წინასწარი განწყობა ჰქონდა, თუმცა შემდეგ ბრალდებულს მიუთითა, რომ ადვოკატის გარეშე არ ესაუბრა და დალოდებოდა მას. თავად, პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი მომეჩვენა უხეში, რადგან ბრალდებულს უყვიროდა, რაზეც მოსამართლემ შენიშვნა მისცა." – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 7.11.2022.

„ადვოკატი [რომელიც 15 წუთით ადრე გამოცხადდა] შევიდა სხდომის დარბაზში […]. მანდატურებმა კი მას მოსთხოვეს დარბაზის დატოვება, იმაზე მითითებით, რომ მას არ ჰქონდა პროცესის დაწყებამდე სხდომის დარბაზში ყოფნის უფლება. მათ ასევე განაცხადეს, რომ მათთვის არავის არასდროს განუმარტავს, რომ შეეძლოთ მხარის დარბაზში შეშვება პროცესის დაწყებამდე და შესაბამისად ეს იყო კანონდარღვევა […]. ამაზე კი ადვოკატმა განმარტა, რომ მას ამის უფლება ჰქონდა და სჭირდებოდა დრო პროცესისთვის მოსამზადებლად. მიუხედავად ამისა, მანდატურმა უარყო აღნიშნული და დასახმარებლად სხვა კოლეგები გამოიძახა და ადვოკატს კატეგორიულად მოსთხოვეს დარბაზის დატოვება, თუმცა მან უარი განაცხადა და კამათი დიდხანს გაგრძელდა, სანამ უფროსი მანდატური არ მოვიდა და სხვა მანდატურებს მითითება არ მისცა, რომ დაეტოვებინათ ადვოკატი დარბაზში და მისთვის თავი დაენებებინათ. მას შემდეგ კი რაც მოსამართლე დარბაზში გამოცხადდა, მანდატურებმა მას მოახსენეს აღნიშნული ფაქტის შესახებ, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს მხარის უფლებაა და მას შეუძლია პროცესისთვის მოსამზადებლად ადრე შევიდეს სხდომის დარბაზში თუკი ის თავისუფალია.“ – მცხეთის რაიონული სასამართლო, 25.11.2022.

„მთლიანობაში პროცესი სრულიად სამართლიანად არ მიმდინარეობდა. ბრალდებული მძიმე მდგომარეობაში იყო, მას ორჯერ დასჭირდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. ასეთ მდგომარეობაში ის საკუთარ თავს იცავდა და არ ჰყავდა ადვოკატი. პროკურორი და მოსამართლე საუბრობდნენ სწრაფად, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ბრალდებული სრულიად ვერ იაზრებდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას და მდგომარეობას, არ შეეძლო საკუთარი თავი სრულფასოვნად დაეცვა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 02.12.2022.

„ვფიქრობ, ემოციური იყო პროცესი, რადგან ფიზიკური პირი ფინანსური გაჭირვების მოტივით ხსნიდა მის ქმედებას. ამასთან, ის მოითხოვდა დახმარებას თავად მოსამართლისგან. მოსამართლეს ეტყობოდა, რომ უნდოდა ეს დახმარება გაეწია, მაგრამ კანონიდან გამომდინარე მას არ ჰქონდა დისკრეცია […]. მოსამართლე თავად არ ჩანდა კმაყოფილი კანონში არსებული ჯარიმის ოდენობით.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 06.12.2022.

„მოსამართლის მხრიდან ადვოკატისადმი უხეში დამოკიდებულების ფონზე, ვერ ვიტყვი, რომ პროცესი ცალსახად სამართლიანად მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიუხეშეს მიზეზი ჰქონდა, მიმაჩნია, რომ მოსამართლეს მეტი თავშეკავება უნდა გააჩნდეს.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 22.11.2022.

„ვფიქრობ, არც თუ ისე მზად იყვნენ სასამართლო პროცესის წარმართვისთვის, *რადგან აღნიშნული პროცესის მსვლელობისას საჭირო გახდა თარჯიმნის ჩართვა, ამაზე* კი მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება. […] საკმაოდ პრობლემური იყო, რადგან ვერ მოხერხდა თარჯიმნის ჩართვის შესახებ სწრაფი რეაგირება და ამის გამო პროცესი გადადო. ვფიქრობ,

აღნიშნულმა ფაქტს ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ამან გამოიწვია პროცესის გაჭიანურება.“ – *გორის რაიონული სასამართლო, 28.12.2022.*

„ვფიქრობ, როგორც ყველა სხვა სხდომაზე, აქაც მთავარი პრობლემა არის ის, რომ სხდომა გვიან იწყება, [მოსამართლე] თავს არ აცნობს მხარეებს, თუმცა ეს იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ მხარეებთან პირველი შეხვედრა არ არის. მე თუ მკითხავთ, ფორმალური მხარის დაცვისთვის, აუცილებელია, ყველა ამ დეტალის ზედმიწევნით შესრულება. სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზე იყო, ნამდვილად სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა მოსამართლემ და საკმარისადაც დაასაბუთა.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 05.01.2023.

„რამდენჯერმე დავესწარი აღნიშნული მოსამართლის პროცესებს და როგორც სხვა შემთხვევებში, ასევე ამ პროცესზე, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე განმარტებების გარეშე ტოვებს დარბაზს. ვფიქრობ, ვერც გაიგო მოსარჩლემ დღევანდელი პროცესის არსი.“ – *ბათუმის საქალაქო სასამართლო, 16.01.2023.*

„პროცესი სამართლიანი იყო-მეთქი დარწმუნებით ვიტყოდი, მოსამართლის ხმა რომ გამეგო გარკვევით.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 16.01.2023

„იყო კამათიც, მოსამართლე მკაცრად ჩაება ამ კამათში და გაანეიტრალა სიტუაცია. ისმენდა მხარეების პოზიციებს და ისეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია თითქოს არ აინტერესებდა მოსამართლეს, პირიქით, ჩართული იყო და უსმენდა მხარეებს, და შიგადაშიგ შენიშვნებსაც ეუბნებოდა სიტყვის შეწყვეტის გამო.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 12.01.2023

„მოსამართლემ პროცესის დასაწყისში ჰკითხა ბრალდებულს, დაკავებისას თუ განემარტა, რაში ედებოდა მას ბრალი და რა უფლებებით სარგებლობდა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო, თუმცა მოსამართლემ მაინც დეტალურად და გასაგებად განუმარტა ყოველივე. პარალელურად ჩერდებოდა და ბრალდებულთან აზუსტებდა, გასაგები იყო მისთვის თუ არა, რასაც ამბობდა და ასევე მიმართა: ,,შემაწყვეტინეთ, თუ რაიმე გაუგებარი იქნება თქვენთვის.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 31.01.2023.

„ჩემი აზრით, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო თარჯიმნის პრობლემა, ის რომ ბრალდებულს ვერ მიეწოდებოდა ინფორმაცია იმ ენაზე, რომელიც იცოდა ყველაზე კარგად.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 6. 02. 2023

„მოპასუხემ ვერ გაიგო საბოლოო გადაწყვეტილება, გასაჩივრების და გადახდის წესები, აგრეთვე განწილვადების შესაძლებლობა. იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლემ დაუყოვნებლივ დატოვა დარბაზი, მას არ მიეცა შესაძლებლობა აღნიშნული გაერკვია. მოპასუხე აღმოჩნდა მოსარჩელის ადვოკატის იმედად, რომ ეს არც თუ ისე დეტალები გაერკვია, რაც ბუნებრივია უნდობლობას ბადებს. სრული არც ეს აღმოჩნდა და დარბაზის

დატოვების შემდეგ მან დამკვირვებელს სთხოვა განმარტებები.“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 13.02.2023

„ჩემი აზრით, სამართლიანად. ყველაფერს ვაკვირდებოდი და არაფერი ისეთი არ შემიმჩნევია, რაც ჩემში უსამართლობის შეგრძნებას გამოიწვევდა.“ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 10. 02. 2023.

„არ ვიცი რამდენად სამართლიანად შეიძლება სასამართლოს შეფასება, როდესაც ირღვევა ბევრი საკითხი, და მოსამართლე ვერ თუ არ მართავს პროცესს..“ – გურჯაანის რაიონული სასამართლო, 03.02.2023.

„სხდომა დაგვიანებით დაიწყო, მოსამართლეს მიზეზი არ დაუსახელებია. ასევე მას არ უთქვამს პროცესის რა ეტაპზე იყვნენ. სხვა მხრივ, ვთვლი, რომ ყველაფერი წესრიგში იყო..“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო, 17.05.2023.

რეკომენდაციები

მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით განხორციელებულმა სასამართლოს მონიტორინგის პროცესმა ცხადყო, რომ მოქალაქეებს აინტერესებთ სასამართლოში მიმდინარე პროცესები. სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ სასამართლო სისტემა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობის, ისე პროცედურული სამართლიანობის თვალსაზრისით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მართლმსაჯულების განხორციელების ყოველდღიურ პროცესებში დადებითი ტენდენციებიც იკვეთება.

<u>„საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ რეკომენდაციები:</u>

- ☑ გაუმჯობესდეს სასამართლო სხდომების ორგანიზებულობა, სხდომების დაგეგმილ დროს დაწყების თვალსაზრისით;
- ☑ მოსამართლეებმა გააკეთონ განმარტებები დაგვიანებების შესახებ;
- ☑ აღმოიფხვრას ერთდროულად რამდენიმე სხდომის დანიშვნის პრაქტიკა;
- ☑ აღმოიფხვრას სასამართლოებში ტექნიკური პრობლემები, რომლებიც სხდომების დისტანციურად ჩატარებას შეეხება; გარდა ამისა, სასამართლოს თავმჯდომარეებმა შეისწავლონ თარჯიმნის არყოფნის გამო სხდომების გადადების საკითხი და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ შესაბამისი ზომები;

- ☑ მოსამართლეებმა ისაუბრონ ცხადად და გასაგებად, ან სასამართლოებმა აღმოფხვრან ტექნიკური პრობლემები, რაც უზრუნველყოფს, რომ მხარეები და პროცესის სხვა მონაწილეები შეძლებენ მოსამართლის საუბრის შინაარსის აღქმას;
- ☑ სასამართლო სხდომებიდან, რომლებიც მონიტორინგის ფარგლებში მოექცა, 23 შემთხვევაში გამოვლინდა მოსამართლის არაეთიკური ქცევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა დაიცვან სამოსამართლო ეთიკის მაღალი სტანდარტები;
- ☑ აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა მხარეებს ყურადღებით მოუსმინონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეს არ ჰყავს ადვოკატი/წარმომადგენელი;
- ☑ პროცედურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა პროცესის მიმდინარეობისას ცხადად და გარკვევით დაასახელონ საქმის განხილვის ეტაპი;
- ☑ მნიშვნელოვანია, რომ აღმოიფხვრას ყველა ის მიზეზი, რომელიც შესაძლოა აბრკოლებდეს მოსამართლეს საქმის განხილვისთვის სათანადოდ მომზადებაში, რადგან საქმის სამართლიანი გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ მოსამართლე სრულყოფილად იცნობდეს საქმის გარემოებებს.
- ☑ მოსამართლეთა ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მაღალ სტანდარტს. მათ უნდა უზრუნველყონ მხარეთათვის თანასწორი პირობების შექმნა და თანაბარი შესაძლებლობების მიცემა საკუთარი ინტერესების დასაცავად.
- ☑ მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს არ ავალდებულებს დასაბუთებული განაჩენის/გადაწყვეტილების გამოცხადებას, მან ისე უნდა გადმოსცეს თავისი გადაწყვეტილების/განაჩენის შინაარსი, რომ მაქსიმალურად გასაგები იყოს მხარეებისა და დამსწრეებისთვის;
- ☑ მნიშვნელოვანია, მოხდეს სასამართლოს მოხელეთა გადამზადება (დამატებითი სწავლება) როგორც სამართლებრივ საკითხებთან, ისე ეთიკურ სტანდარტებთან დაკავშირებით, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ისეთი შემთხვევები, რომლებიც ადვოკატთა თუ მოქალაქეთა მიმართ სასამართლოს მოხელეთა მხრიდან არაპროფესიონალურ ქცევას გულისხმობს.

დანართი #1

საქართველოს სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

სასამართლო პროცესების მონიტორინგის კითხვარი

დამკვირვებლის სახელი, გვარი: ---------- თარიღი: ---------- ქალაქი: ----------

სასამართლოს და კოლეგიის დასახელება: ----------

მოსამართლე: ---------- დარბაზი #: -------- საქმის კატეგორია: ----------

საქმე შეეხებოდა: ----------

კითხვა	*კი*	*არა*	*არ ვიცი*	*არ ჩატარებულა*
1. ჩატარდა თუ არა სასამართლო სხდომა, რომელიც დაგეგმილი იყო?				
2. რა იყო სასამართლო სხდომის დაწყების დაგეგმილი და ფაქტობრივი დროები?				
3. დაგვიანების შემთხვევაში, რა იყო ამის მიზეზი და ვინ დაიგვიანა პროცესზე?				
4. თუ სასამართლო სხდომა დაიწყო დაგვიანებით, განმარტა ან მოიბოდიშა თუ არა ვინმემ? *ვინ მოიბოდიშა და რა თქვა ამასთან დაკავშირებით?*				
5. დაასახელა თუ არა მოსამართლემ სასამართლო პროცესის რა ეტაპი იყო? *თუ კი, რა ეტაპზე იყო სასამართლო განხილვა?*				
6. რა დამოკიდებულება ჰქონდა მოსამართლეს დამკვირვებლის მიმართ რომელიც სხდომას ესწრებოდა? *გთხოვთ, აღწეროთ დეტალები.*				
7. ესწრებოდნენ თუ არა მედიის წარმომადგენლები სხდომას და ხდებოდა თუ არა ჩაწერა აუდიო/ვიდეო მოწყობილობებით?				
8. მოითხოვა, თუ არა მხარემ მოსამართლის აცილება? *თუ კი, რა რეაქცია ჰქონდა მოსამართლეს ამ საკითხზე? გთხოვთ, აღწერეთ დეტალები.*				

9. გულდასმით მოუსმინა თუ არა მოსამართლემ მხარეებს? მოსამართლე ცდილობდა თუ არა დარწმუნებულიყო, რომ პროცესის მონაწილემ მისი შეკითხვა ან განმარტებები გაიგო პროცესის მიმდინარეობისას? *გთხოვთ, აღწერეთ დეტალები.*	
10. დააყენა თუ არა რომელიმე მხარემ მოთხოვნა (შუამდგომლობა) და გააკეთა თუ არა მოსამართლემ განმარტებები შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის შესახებ? *თუ კი, გთხოვთ, აღწერეთ დეტალები.*	
11. რა საკითხებს არ ეთანხმებოდა ადვოკატი/მხარე მოსამართლის წინაშე და როგორ რეაგირებდა მოსამართლე? *გთხოვთ, აღწეროთ დეტალები.*	
12. დაგრჩათ თუ არა შთაბეჭდილება რომ მოსამართლე მოუმზადებელი იყო? *თუ კი, გთხოვთ აღწეროთ, რატომ მიიჩნევთ ასე?*	
13. მიმართა თუ არა მოსამართლემ რომელიმე მხარეს უხეშად ან აგრესიულად? *თუ კი, გთხოვთ, აღწეროთ დეტალები.*	
14. შესთავაზა თუ არა მოსამართლემ თანაბრად ორივე მხარეს, წარმოედგინათ მათი საქმე და თანასწორად მოეპყრო თუ არა მათ? *საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, ამ გრაფაში აღწეროთ დეტალები.*	
15. თუ სასამართლო სხდომა დასრულდა საბოლოო გადაწყვეტილების (ან განაჩენის) გამოცხადებით, გასაგები იყო თუ არა თქვენთვის გადაწყვეტილების (განაჩენის) დასაბუთება? *გთხოვთ, შეძლებისდაგვარად აღწეროთ დეტალები.*	
16. თქვენი შეფასებით, მთლიანობაში, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი? *როგორი განცდა დაგრჩათ და რატომ?*	

დამატებითი ჩანაწერების ადგილი	....